გამოცემის მე-100 წელი

იყიდეთ ყველაზე სანდო ქართული გაზეთი!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 4 იანვარი. 2018 წ. №1 (8402), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი

ილია II – 85

ინებოს ღმერთმა, დღეს მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში ჩვენც ჩვენი თვითმყოფადი სახე შევინარჩუნოთ და საქართველო საქართველოდ დარჩეს.

რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართველო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისთვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და მმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!

იხ. 3 გვ.

საწვრთნელი გემი „კადეტი" – ბათუმის

საზღვაო აკადემიის სტუდენტებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასწავლო-საწვრთნელი გემი უსასყიდლოდ გადაეცა. გემის ოფიციალური გადაცემის ცერემონიალი ბათუმის ნავსადგურში გაიმართა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრებს და საზღვაო აკადემიის სტუდენტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საქართველოს ვიცე-პრემიერს, რომლის უშუალო ინიციატივით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სასწავლო-საწვრთნელი გემი უსასყიდლოდ გადაეცა. მისი თქმით, დღეიდან საზღვაო აკადემიის სტუდენტებს საზღვაო პრაქტიკის გავლა უკვე ბათუმში შეეძლებათ, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია.

ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მერი და აჭარის მთავრობის წევრები ესწრებოდნენ. საწვრთნელი გემის გადაცემის ცერემონიალზე შესრულდა საქართველოს ჰიმნი, გემზე აღიმართა საქართველოს დროშა, რის შემდეგაც სტუმრებმა გემი „კადეტი" დაათვალიერეს.მცურავი საშუალება აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების ყველა საჭირო სანაოსნო სისტემითა და ტექნიკური საშუალებით. 2018 წლიდან საზღვაო აკადემიის სტუდენტები საზღვაო პრაქტიკას უშუალოდ აღნიშნულ გემზე გაივლიან.

— დღეს ბათუმის საზღვაო აკადემიას სასწავლო-საწვრთნელი გემი გადაეცა. 90 წლის ისტორიის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აკადემიას ასეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი დაემატა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული რეფორმა გატარდა ამ მიმართულებით, თუმცა სტუდენტების ღირსეული დასაქმებისთვის ეს იყო ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ჩვენ ნამდვილად გვჭირდებოდა. გემი იყო გამზადებული გასაყიდად, მაგრამ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ის სახელმწიფოში დარჩენილიყო, მომსახურებოდა სახელმწიფოს და ჩვენი სტუდენტებისთვის სამომავლო დასაქმების შესაძლებლობა მიეცა“, — განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პუტინის გადარჩევამდე მივაღწევთ...

რუსეთის სარეზერვო ფონდი გაუქმებულია
რა იქნება შემდეგ?

2018 წლის პირველი იანვრიდან რუსეთის ფედერაციის სარეზერვო ფონდი გაუქმებულია, ფონდი ნაციონალური კეთილდღეობის ფონდს შეუერთდა. **რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში შესწორებები,რომელიც ორი ფონდის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, ჯერ კიდევ ზაფხულში შევიდა. ფინანსთა სამინისტროში წინასწარ გამოთვალეს, რომ ახალი წლის დასაწყისისთვის სარეზერვო ფონდი ამოიწურებოდა ქვეყნის ბიუჯეტი კი უახლოეს წლებში დეფიციტური იქნებოდა. შესაბამისად ნაციონალური კეთილდღეობის ფონდი,რომელიც თავდაპირველად რუსეთის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის მდგრადობისთვის შეიქმნა, ახლა უკვე სარეზერვო ფუნქციასაც ითავსებს და ის მოემსახურება სახაზინო დეფიციტის შევსებას.**

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრის **ანტონ სილუანოვის** განმარტებით, ორი ფონდის შეერთებამ სარეზერვო სახსრების გამოყენების უკეთესი მანევრირება უნდა უზრუნველყოს. სარეზერვო ფონდი და კეთილდღეობის ფონდი 2008 წელს ოთხი წლით ადრე შემქნილი სტაბილიზაციის ფონდის ბაზაზე შეიქმნა, ფონდში სახსრები ნავთობისა და გაზიდან შემოსული შემოსავლებიდან ივსებოდა.

ექსპერტის **იაკობ მირკინის** შეფასებით, თავის დროზე სტაბილურობის ფონდის გაყოფა მიზნად ისახავდა ზედმეტი ფულის გადადებას მომავალი თაობისთვის.ახლა კი ეს იდეა გვერდზეა გადადებული და ნაციონალური კეთილდღეობის ფონდი, როგორც მომავლის ფონდი, მიზნობრივ დანიშნულებას კარგავს, წინა პლანზე კი ფონდის, როგორც „შავი დღისთვის“ გამოყენებას ისახავს მიზნად, ის ასევე იქნება, ფულის ტომარა ზოგიერთი მიზნობრივი გეგმის დასაფინანსებლად. ალფა-ბანკის მთავარი ეკონომისტის **ნატალი ორლოვას** განცხადებით, მთავარი ამოცანა,რომელიც ფინანსთა სამინისტროს წინაშე დგას კეთილდღეობის ფონდის სახსრების გამოყენებაა იმ შემთხვევაში თუ ნავთობის ბაზარზე ფასები ცვალებადი იქნება. კანონის მიხედვით, პირველი თებერვლიდან სარეზერვო ფონდში არსებული თანხები მთლიანად უნდა გადავიდეს კეთილდღეობის ფონდში, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ფორმალობა იქნება, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, პირველი იანვრისთვის სარეზერვო ფონდი მთლიანად ამოიწურება. დეკემბრის დასაწყისში ფონდში მხოლოდ 994 მილიონი რუბლი იყო, ერთი წლის წინ კი — ორი ტრილიონი რუბლი.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1.271 ტრილიონი რუბლი იქნება რუსეთის ბიუჯეტის გარღვევა, აქედან 1.14 ტრილიონის დაფარვა დაგეგმილია სარეზერვო ფონდიდან, ამავდროულად 717 მილიონი რუბლით ფონდი უნდა შეივსოს, თუმცა ფინანსთა მინისტრი ვერ განმარტავს, ექნება თუ არა კეთილდღეობის ფონდს დამატებითი ხარჯები. რუსეთის სარეზერვო ფონდის გაუქმებაზე, კარკატურისტმა სერგეი იოლკინმა „დოიჩე ველესთვის“ კარიკატურა შექმნა შემდეგი სათაურით, „პუტინის გადარჩევამდე მივაღწევთ, რა იქნება შემდეგ?“

„დოიჩე ველე“

„მოსკოვს დიდი ფასის გადახდა მოუწევს“...

ტრამპის მრჩევლის განცხადება

რუსეთმა 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევა განახორციელა და ამის შესახებ ტრამპი ინფორმირებულია — ეს განცხადება „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველმა გერბერტ მაკმასტერმა გააკეთა. ის აცხადებს, რომ აუცილებელია, მოიძებნოს საშუალება, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს რუსეთს, რომელიც განსაკუთრებით დაიხვეწა.

მისივე განცხადებით, რუსეთისგან მომავალი ახალი საფრთხე არის დეზინფორმაცია და პროპაგანდა სოციალურ ქსელებში, რაც მიზნად ისახავს სოციალური ჯგუფების დაპირისპირებას და განხეთქილების შემოტანას.

„რუსები ასევე აქტიურობდნენ ევროპაში მათ შორის საფრანგეთის არჩევნების დროს ესპანეთის რეფერენდუმის დროს, რომელიც კატალონიის სტატუსს ეხებოდა, ვხედავდით მათ აქტიურობას მექსიკაში ასევე მონტენეგროში, სადაც პუტჩის მცდელობა იყო“. — მაკმასტერის განცხადებით, რუსეთის მთავარი ამოცანაა დესტაბილიზაციის მოწყობა, მისივე თქმით, მოსკოვი კვალვინდებურად უარყოფს მსგავს ქმედებებში მონაწილეობას, თუმცა ეს უარყოფა სულ უფრო და უფრო სუსტდება. „ეს ადამიანები აცხადებენ: „არა, ჩვენ არ ჩამოგვიგდია ავიალაინერი და არ დაგვიხოცავს ადამიანები“ — „არა, ჩვენი ჯარისკაცები არ არიან ყირიმში და არც აღმოსავლეთ უკრაინაში“; „ჩვენ არ ვუწევთ დახმარებას სირიის რეჟიმს, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარი მოქალაქეების მასობრივ მკვლელობებზე ქიმიური იარაღის გამოყენებით — დღეს ამ სიტყვების აღარავის სჯერა“ — აცხადებს მაკმასტერი.

მისი თქმით, ყველა არაბულ სახელმწიფოებს უნდა ესმოდეს თუ რას აკეთებს რუსეთი, რომელიც ცდილობს დესტრუქციული ირანის გამოყენებას საკუთარ ინტერესებში. თავად ირანი კი რეგიონში ხელს უწყობს სამოქალაქო ომის გაჩაღებას და იარაღის მიწოდებით მხარს უჭერს ტერორისტულ ორგანიზაცია **„ჰეზბოლას“. ამ მხარდაჭერისთვის რუსეთს დიდი ფასის გადახდა მოუწევს“** — განაცხადა მაკმასტერმა.

ტექნიკური ინსპექტირების ამოქმედებისთანავე ცხელი ხაზი „1484“ ამოქმედდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, 2018 წლის 3 იანვრიდან ცხელი ხაზი — 1484 ამოქმედდა, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ეტაპობრივად ამოქმედების პროცესისა და პირობებით დაინტერესებულ ადამიანებს მოემსახურება.

ცხელ ხაზზე „1484“ დარეკვა შესაძლებელია საერთო სარგებლობის ფიქსირებული და მობილური ქსელებიდან, მხოლოდ ცხელი ხაზის ნომრის — 1484 აკრეფით. კონსულტაციის გაცემის გარდა, ცხელი ხაზის ოპერატორები მოქალაქეებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრებში ვიზიტის ონლაინ დაჯავშნაში დაეხმარებიან. ცხელ ხაზზე დარეკვა დამატებითი გადასახადის გადახდას არ ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას გაივლიან სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ. ზემოთ) ავტომობილები, შემდეგ ეტაპზე — სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ასევე დიდი მოცულობის(3.0 და ზემოთ) ძრავების მძღოლი ავტომობილები და ა.შ. 2019 წლის ბოლომდე ინსპექტირებას გაივლის საქართველოში რეგისტრირებული მთლიანი ავტოპარკი.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს“...

დასავლელი პარტნიორები საქართველოს დაჭინებით ურჩევენ, გააგრძელოს პირდაპირი დიალოგი რუსეთთან

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გაზეთ „იზვესტიასთან“ ინტერვიუში საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენასა და ქვეყნებს შორის ჰუმანიტარული კავშირების გამყარებაზე ისაუბრა.

როგორც კარასინმა აღნიშნა, კავშირების ნორმალიზაციის ტენდენცია რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა — „როდესაც მიხეილ სააკაშვილის პარტიამ საპარლამენტო არჩევნები წააგო და ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა“.

კარასინის შეფასებით, ამის შემდეგ თბილისისა და მოსკოვის საერთო ძალისხმევით, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროში ხელშესახები შედეგების მიღწევა და ჰუმანიტარული კავშირების გამყარება გახდა შესაძლებელი.

„მოსკოვი მზად არის ყოველმხრივი პრაქტიკული თანამშრომლობისთვის და ქართული მხარის ადეკვატური რეაქციის იმედი აქვს“, — განაცხადა კარასინმა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის **თამარ ჩუგოშვილის** აზრით, რუსეთთან პირდაპირი თანამშრომლობა შეუძლებელია და ეს ბევრ ეტაპზე დამტკიცდა. როგორც ჩუგოშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რუსეთთან ურთიერთობის მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს და ეს არის ჟენევის ფორმატი.

„რუსეთთან პირდაპირი თანამშრომლობა შეუძლებელია. ეს ბევრ ეტაპზე დამტკიცდა. რუსეთი არის ჩვენი ქვეყნის ოკუპანტი და ერთადერთი ფორმა, რომელსაც მასთან კომუნიკაციისთვის ვიყენებთ, ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით და დახმარებით ჟენევის ფორმატში. პირდაპირი კომუნიკაცია საქართველოსი რუსეთთან პოლიტიკურ თემებზე, მე ვფიქრობ, შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენ ვმუშაობთ, რომ ჟენევის ფორმატი იყოს უფრო აქტიური და შედეგიანი, ვიდრე ის იყო აქამდე“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.



როგორც პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში **ზურაბ აბაშიძე** აცხადებს, თუ თამარ ჩუგოშვილი გულისხმობდა, რომ რუსეთთან პოლიტიკური საკითხების განხილვა უკეთესია საერთაშორისო ფორმატში, ეს ასეც ხდება — პოლიტიკური საკითხები ჟენევის ფორმატში განიხილება, ეკონომიკურ-სავაჭრო კი — პრაღის ფორმატში.

„პრაღის ფორმატის გაუქმება არ იგეგმება. ჩვენი მორიგი შეხვედრა, ალბათ, გაიმართება თებერვალში. განვიხილავთ კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებს. ჩვენი დღის წესრიგით გათვალისწინებულია სავაჭრო-ეკონომიკური პრობლემების განხილვა, სატრანსპორტო კომუნიკაციების თემა, გარკვეული ჰუმანიტარული პრობლემები. ამ კუთხით ჩვენ გარკვეული ნაბიჯები გადავდგით 2013 წლიდან“, — აცხადებს აბაშიძე.

მისივე შეფასებით, აღდგა ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში და მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია გავიტანეთ რუსეთში, რაც ძალიან სერიოზული პოზიტიური ფაქტორია ჩვენი ეკონომიკისთვის.

„აღდგა სატრანსპორტო კომუნიკაციები, ამან ხელი შეუწყო საქართველოში ტურიზმის განვითარებას არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ ზოგადად. საკუთრივ რუსეთიდან კი წელს მილიონზე მეტი ტურისტი ჩამოვიდა. ჩვენ ვმსჯელობთ ჰუმანიტარულ პრობლემებზე. გავათავისუფლეთ ჩვენი 8 მოქალაქე, რომლებიც მრავალწლიან სასჯელს იხდიდნენ ჯაშუშობის ბრალდებით. განვიხილავთ ბიზნესის ხელშეწყობის თემატიკას, ასე რომ, ამ მიმართულებებით ეს დიალოგი გაგრძელდება“ — აცხადებს აბაშიძე.

როგორც პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი აღნიშნავს, რუსეთთან დიალოგი ძალიან რთულია.

„მაგრამ ამ შემთხვევაში კვლავ დავესესხები ნატოს გენერალურ მდივანს იმის თაობაზე, რომ დიალოგი რუსეთთან რთულია და ამიტომ საჭიროა“, — განაცხადა აბაშიძემ.

ამასთან, ზურაბ აბაშიძე ხაზს უსვამს, რომ დასავლელი პარტნიორები საქართველოს გადაჭრით ურჩევენ, გააგრძელოს პირდაპირი დიალოგი რუსეთთან.

მარიამ თოდაძე

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი

„სძლიე შენს თავს...“

„ადამიანებს სიყვარულის ნაკლებობა სტანჯავთ.

ადამიანის მიწიერი ცხოვრება გამოცდაა. ბედნიერია ის, ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, არ ჩაიკეტება ეგოიზმის ნაჭუჭში, ვისაც ესმის მარადიული და საუკუნო პრობლემები და ხედავს არა მარტო თავის თავს, არამედ სხვასაც, განსაკუთრებით კი სხვათა გაჭირვებას. აი, ეს არის ქრისტიანობა, ამისკენ მოგვიწოდებს ქრისტიანული სარწმუნოება.

არც ერთ მტერს არ შეუძლია ისეთი ზიანი მოგვაყენოს, როგორსაც ჩვენ მივაყენებთ საკუთარ თავს. სძლიე შენს თავს, შენს ეგოიზმს და გაიმარჯვებ ყველგან და ყოველთვის.

ჭეშმარიტების — ღვთის გზით სიარული ეგოიზმის დაძლევას ნიშნავს.

ყველაზე მძაფრი შინაგანი ბრძოლა ამპარტავნებასთან და ეგოიზმთანაა. მათთან ჭიდილში მრავალნი დამარცხებულან, ამიტომაც ბევრნი უარს ამბობენ ამ გზაზე, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავბრკოლდეთ, თუ ქრისტესნი ვართ, ბოლომდე უნდა მივსდიოთ მას!“

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და განსაცდელისა, სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტევნელნი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვთაებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით ამ ქვეყნადვე აღწევენ უსაზღვრო ნეტარებას.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (I იოანე 4,20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, — ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, — კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუობს“ (I იოანე 4.20). ამდენად, მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს, ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერპთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი გადამეტებული სიყვარული კი — ეგოიზმსა და ნარცისიზმს შობს.

— ახალმა აღთქმამ გვასწავლა საოცარი რამ — **„ღმერთი სიყვარულია“** (**იოანე.4,8**). ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც, ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხონების ერთადერთ გზას გაუკვალავდა.

„შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (**იოანე. 13,34**); „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის“ (**იოანე. 15,13.**), — **ბრძანებს იესო.**

ქრისტიანობამ აბსოლუტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა — მისი ერისა თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი!

„მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (**მთ. 5.44-45**).

ეს არის მანამდე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა.

ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც, თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და, ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ.

ყველაფერი კარგად იქნება

ნუ დაეცემი, სულს ნუ იტანჯავ,
ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება.
იფიქრე კარგი და დაინახავ,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას
შენი ცხოვრებაც ისე იქნება.
გულს ნუ გაიტეხ, გწამდეს უფალის
და ყველაფერი კარგად იქნება!

ტყუილ-უბრალოდ ღელვა და შიში
განა ვერ ატყობ, რომ არ გიხდება;
ნუ შიშობ, უფლის იწამე მარად
და ყველაფერი კარგად იქნება!

როცა ვარდები დეპრესიაში
და შენი ტანჯვა ატყობ იწყება,
მაშინ მოუხმე თვით შთაგონებას
თქვი, ყველაფერი კარგად იქნება!

რომც დაგარწმუნონ შენ იღუპები,
შენი სიცოცხლის წუთი ითვლება,
რწმენას მოუხმე და შენ იხილავ,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი,
ღმერთი არ გტოვებს, შენსკენ იხრება;
ის მოწყალეა ყველა ცოდვილის
და ყველაფერი კარგად იქნება!

როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს
და შენი გული ბოღმით ივსება,
ერთადერთია, რაც გადაგარჩენს,
თქვი: ყველაფერი კარგად იქნება!

დიდი ნიჭია თავშეკავება,
ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება,
როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას
და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,
სხვებს აუხსენი და შთააგონე,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როდის იქნება? როგორ იქნება?
როცა კითხვები გულში ისმება,
ნუ უფიქრდები უაზრო კითხვებს,
ღმერთის წყალობით
სულყველაფერი კარგად იქნება!

ილია II

წელი – ახალი, პრობლემები – ძველი!

პოლიტიკური

გორდიას კვანძი

თბილისი-მოსკოვი-სოხუმი-ცხინვალი: რაღაც აშკარად ხდება, მაგრამ რა?

2017 წლის მიწურული საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი და ერთნაირად მოულოდნელი მოვლენით აღინიშნა. ყველა მათგანი წლების განმავლობაში გადაუჭრელ ამოცანად აღიქმებოდა. რა შეიცვალა ახლა – საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობია. ოფიციალურ დონეზე განმარტებები ან საერთოდ არ კეთდება, ან მწირი და ბუნდოვანია. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მკაფიო შეგრძნება, რომ თბილისს, მოსკოვს, სოხუმსა და ცხინვალს (და შესაძლოა, არა მარტო) შორის რაღაც ხდება, მაგრამ რა?

დავიწყოთ ოკუპირებული რეგიონების ციხეებიდან საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლებით. ცხინვალის იზოლატორიდან გიორგი გიუნაშვილის დახსნიდან ერთ თვეში ოჯახს გიორგი ლუკავაც დაუბრუნდა. გიორგი გიუნაშვილს „დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის“ ბრალდებით 20-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. რაც შეეხება გიორგი ლუკავას, 1992-93 წლების საბრძოლო მოქმედებების მონაწილე 2011 წლის 9 მაისს გალის რაიონის სოფელ ბარღებში „ტყის ძმებთან“ (ეთნიკური ქართველებისგან შემდგარი პარტიზანული რაზმი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა) კავშირის ბრალდებით დააკავეს და ასევე 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ორივეს გათავისუფლება როგორც ქართული, ისე აფხაზური და ოსური საზოგადოებისთვის მოულოდნელობას წარმოადგენდა. ქართული მხარე ხომ მათ საკითხს წლების განმავლობაში ყველა მოქმედი ფორმატის შეხვედრებზე უშედეგოდ აყენებდა. და აი, ეს თითქოსდა გადაუჭრელი ორი პრობლემა, რაღაც სასწაულებრივად, 2017 წლის ბოლო თვის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით გადაწყდა...

ცხინვალისა და სოხუმის ვერსიით, გიორგი გიუნაშვილი ქართულ ციხეში მყოფ აფხაზეთის რომელიღაც მკვიდრში გადაიცვალა. თუმცა თბილისში საპასუხოდ ბუნდოვანი განცხადებები გაკეთდა „შესაბამისი უწყებების წარმატებული მუშაობის“ თაობაზე. სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა ლუკავას გათავისუფლება წარმატებული თანამშრომლობის შედეგად შეაფასა: „ეს პოზიტიური თანამშრომლობის მაჩვენებელია და კიდევ ერთი კარგი პრეცედენტი. ეს პოზიტიურად აისახება სამშვიდობო პროცესზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ნდობის აღდგენაზეო“.

შესაძლოა, ასეც იყოს. თუმცა ამ მოვლენებს დროში დაემთხვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებების პრაქტიკულად ღია განცხადებები იმის შესახებ, რომ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მზადდება. თუ ცხინვალელ მომლაპარაკებელ მურატ ჯიოევს დავუჯერებთ, ეს ჯერ კიდევ 42-ე რაუნდის მსვლელობისას იყო გათვალისწინებული, თუმცა ბოლო მომენტში თბილისი „გაჯიუტდა“. ამ ფორმატის მომდევნო შეხვედრა 2018 წლის მარტშია დაგეგმილი.

პოლიტოლოგ **გელა ვასაძის** აზრით, გიუნაშვილისა და ლუკავას გათავისუფლება შესაძლოა, ერთი ჯაჭვის რგოლები იყოს, რომელსაც მოსკოვი ჭედავს.

„ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, გარკვეული დათმობები (ლუკავასა და გიუნაშვილის გათავისუფლება) კონკრეტულად ოკუპირებულ რეგიონებს უკავშირდებოდეს. საქმე შეიძლება, გვქონდეს ზოგადად საქართველოში რუსეთის გარკვეული პოზიციების გაძლიერებასთან, მით უფრო, თუ ეს ჰუმანიტარულ ასპექტებს ეხება. ამდენად, საუბარი იმაზე, რომ ეს უშუალოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს უკავშირდება, ოფიციალური ინფორმაციის არასაკმარისობის პირობებში ნაადრევად მიმაჩნია. ნებისმიერ შემთხვევაში, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ინიცირებული მათი გათავისუფლება, ეს მოსკოვის თანხმობის გარეშე, მის ზურგს უკან ვერ მოხდებოდა“ .

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ამ მოვლენებს დროში დაემთხვა, ქართული მხარის მიერ შვეიცარიულ კომპანია SGS-სთან „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტის ხელმოწერაა – არანაკლებ მოულოდნელი, საკითხის მრავალწლიანი უძრაობის გათვალისწინებით. ამასთან, კონტრაქტი არ გასაჯაროებულა და ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამის გაკეთებას არც სამომავლოდ აპირებს.

ორიოდ დღის წინათ კონტრაქტის ხელმოწერას საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** გამოეხმაურა და ოპოზიციის ეჭვების გაქარწყლება სცადა, თუმცა არცთუ დამაჯერებლად:

„ეს ხელშეკრულება წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობად გვერგო. რატომ არ ფორმდებოდა კონტრაქტი დღემდე? მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთი მიუღებელ პირობებს გვიყენებდა. მეტსაც გეტყვით: მისი მხრიდან მიუღებელი წინადადებები დღესაც ისმის. კერძოდ, რუსეთი ამ ხელშეკრულების რიგი ტექნიკური დეტალების შეცვლას გვთავაზობს. ჩვენ მიერ ხელმოწერილ კონტრაქტში არ არის არც ერთი პუნქტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებაო“.

საგულისხმოა, რომ ქართული მხარის მიერ კონტრაქტის გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ **ბესლან ცვინარიამ** გააჟღერა ინიციატივა, „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე“ საბაჟო ამოქმედდეს და ყველა გატარებული ტვირთი გადასახადებს დაექვემდებაროს.

ოკუპირებულ რეგიონში ბევრმა ეს იდეა „საქართველოსთან ეკონომიკური კავშირების დამყარებას“ გაუთანაბრა. შესაბამისი კითხვით 21 დეკემბერს, წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ **რაულ ხაჯიმბასაც** მიმართეს, მან კი საპასუხოდ „ურაპატრიოტიზმი“ დაგმო, „საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის აუცილებლობას“ გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ „აფხაზეთმა არა გუშინდელი დღით უნდა იცხოვროს, არამედ ხვალინდელ დღეზე იფიქროს“:

ქართულ საექსპერტო წრეებში კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები გამოითქმის. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტ თორნიკე შარაშენიძის აზრით, SGS-სთან კონტრაქტის გაფორმებით „მოსკოვმა და თბილისმაც უბრალოდ სომხეთის ინტერესებს გაუწიეს ანგარიში“:

„არაერთხელ მოხდა ის, რომ ლარსი გაჩერდა. მოგეხსენებათ, სომხეთი გარესამყაროს, მათ შორის, რუსეთს – მის მთავარ პარტნიორსა და პროტექტორს რეალურად, ჩვენი გავლით უკავშირდება. საქართველომ და რუსეთმა, როგორც ჩანს, ეს მომენტი გაითვალისწინეს. რაც შეეხება უშუალოდ ხელშეკრულებას, მე რასაც ვნახულობ, მანდ მაინცდამაინც კატასტროფული არაფერია. პირიქით, თუ ჩვენ როგორმე გავჭრით ხაზს ცხინვალის რეგიონზე, რომელიც იზოლირებულია, რადგან, მოგეხსენებათ, რუსებმა მთლიანად შემოლობეს, ჩვენთვის ცუდი არ იქნება. გარდა ამისა, ჩვენ ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულეთ, შეთანხმების პირობები ჩვენი მხრიდან განვახორციელეთ და რამე რომ იყოს, რუსეთი შარს ვერ მოგვდებს“.

ავტომატურად გაჩნდა კითხვა: **ხომ არ მოჰყვება ამას აფხაზეთზე რკინიგზის გახსნა?** შარაშენიძის აზრით, ეს არ უნდა მოხდეს:

„ეს სულ სხვა მასშტაბის, სხვა წონის თემაა. აქ ჩართულია აფხაზური მხარე, რომელსაც გაცილებით მეტი გავლენა აქვს რუსეთზე, ვიდრე ცხინვალის რეგიონს. რკინიგზის აღდგენა ძალიან ბევრ თემას უკავშირდება, მათ შორის – ფინანსურს. გასათვალისწინებელია ასევე აზერბაიჯანის საკითხიც, რომელიც, ბუნებრივია, წინააღმდეგი იქნება. გაცილებით რთული თემაა, ვიდრე რუხის გახსნა, მით უფრო, თუ რუხი იხსნება მაშინ, როდესაც ლარსი ვერ მუშაობს. მოკლედ, წესით აქ სასწაული არ ხდება და წესით, კონტრაქტის ხელმოწერა არ უნდა ნიშნავდეს, რომ შემდეგ საქართველო აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნას აპირებს“.

სხვების აზრით, კონტრაქტის ხელმოწერა ფორმალური პროცესია და არ ავალდებულებს მხარეებს, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების გავლით ტრანზიტი განახლდეს. ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ჯაბა გოგოლაშვილი** თვლის, რომ ამ შეთანხმებაში რეალურად, პრაქტიკული შემადგენელი არ არის და რომც დავუშვათ, რომ ნეიტრალურ კომპანიასთან კონტრაქტს რუსეთიც გააფორმებს, ეს საქართველოს მხოლოდ ინფორმაციას მისცემს იმ ტვირთების შესახებ, რომელიც რუსეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შედის:

„აქ არაღიარებული რესპუბლიკების ტერიტორიების გავლით ტრანზიტის განახლებაზე საუბარი არ არის. სურვილის შემთხვევაში საქართველოს შეეძლო, რუსეთთან შეთანხმებას მესამე მხარის გარეშეც მიეღწია. ჩემი აზრით, ახლა მიმდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრი იმ ვალდებულებების შესრულების რუტინული პროცესი, რომელთა წყალობითაც რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანდა, თუმცა, ამავდროულად, საქართველოს ინტერესები ბოლომდე გათვლილი არ იყო. დიახ, შეთანხმების კონტექსტში რუსეთი ამ რეგიონებზე საქართველოს სუვერენიტეტს ნომინალურად აღიარებს, თუმცა იქ ჯარები უდგას. მეორე მხრივ, ჩვენც ვაღიარებთ, რომ მართვის ყველა სადავე რუსეთის ხელშია, რაკი მონიტორინგის უფლებას ტვირთებზე, რომელიც რუსეთთან ჩვენს საზღვარს კვეთს, მესამე მხარეს ვაძლევთ“.

კონფლიქტოლოგ **ლევან გერაძეს** ასევე ეჭვი ეპარება, ამ შეთანხმების პრაქტიკული რეალიზების შემთხვევაში, საქმე გამჭოლი მოძრაობის განახლებამდე მივიდეს. ექსპერტი ოსი და აფხაზი ლიდერების არაერთ განცხადებას იხსენებს, რომლებიც ტრანზიტის აღდგენის აუცილებელ პირობად დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსით მათი მონაწილეობის შესაძლებლობას აყენებდნენ:

„ვფიქრობ, საავტომობილო ტრანზიტის განახლება სასარგებლო ნაბიჯი იქნებოდა კონფლიქტის მძიმე შედეგების დაძლევის თვალსაზრისით და ხელშეკრულების პრაქტიკული შინაარსით შევსების შემთხვევაში იგი არაერთ უხერხულ საკითხს მოხსნიდა. ვთვლი, რომ საბაჟო კონტროლში ნეიტრალური მხარის გამოყენება ამ პროცესში თვითგამოცხადებული რესპუბლიკების წარმომადგენლების მონაწილეობას გამორიცხავს, ანუ ტრანზიტი განხორციელდება იმ ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა. თუმცა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საკითხის მსგავსი სახით დაყენება რუსეთის ინტერესებში შედიოდეს. სანამ რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს სახელმწიფოებად მიიჩნევს და არა მოლაპარაკებათა პროცესის მონაწილეებად, საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრება.

„აძცენტი“ სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ლუკავას გათავისუფლება პატიმართა გაცვლის პროცესის ნაწილია

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრესსამსახური გიორგი ლუკავას დრანდის ციხიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს იყო პატიმართა გაცვლის პროცესის ნაწილი.

„2017 წლის 25 დეკემბერს საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე აფხაზურმა მხარემ საქართველოს გიორგი ლუკავა გადასცა. აღნიშნული აქტი იყო პატიმართა გაცვლის პროცესის ნაწილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით დავიწყეთ.

2008 წლის მოვლენების შედეგად ტყვედ ჩავარდნენ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში ხანგრძლივი, მათ შორის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. ამის შემდეგ აფხაზური, ოსური და ქართული მხარეები პატიმართა გაცვლაზე შეთანხმდნენ.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ლუკავა ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ სიაში ფიგურირებდა, მაგრამ მისი გადაცემა მაშინ შევაჩერეთ. მოგვიანებით, ის და სამხრეთ ოსეთში დაკავებული გიორგი გიუნაშვილი გავცვალეთ ბესლან კვიციინიას მკვლელობაში ეჭვმიტანილ როლანდ ჟიბაზე, რომელიც თავს საქართველოს აფარებდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე საქართველოს აფარებენ თავს რიგი აფხაზეთის მოქალაქეები, რომლებმაც მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს, მათ შორის არის რუსი დიპლომატის დიმიტრი ვიშერნევის მკვლელი.

შესაძლოა, ვინმეს არ მოსწონს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მოქალაქეები, რომლებმაც კანონი დაარღვიეს და საქართველოს აფარებენ თავს, აფხაზეთში ჩამოგვყავს და პასუხს ვაგებინებთ.

პატიმართა გაცვლის პრაქტიკა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით მოვუწოდებთ მოქალაქეებს, გამოიჩინონ სიმშვიდე და არ აყვნენ პროვოკაციულ მოწოდებებს“, – ნათქვამია ე.წ. პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში.

ჩვენი დროის სტახანოველები და პეტრე მელიქიშვილის გაკვეთილი

ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

2 და 3 ნოემბერს ქართულმა ტელეარხებმა საღამოს გამოშვებებში ამაზრზენი და გულის შემღონებელი ინფორმაციები გაავრცელეს. ექვს თვეში ჩვენი ქვეყნის ექვს სამინისტროში 5 მილიონ ექვსასი ათასი ლარი ჩინოვნიკების პრემიებსა და სახელფასო დანამატებში თუ წანამატებში დაუხარჯავთ. საკუთარ ყურებსაც აღარ დავუჯერე და მეორე დღეს ინტერნეტში გადავამოწმე. გული ცუდად გამიხდა, წნევამ ისე ამიწია, ქუთაისში აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების წასაკითხავად ვეღარ წავედი. ეს ისეთი შემზარავი ფაქტია, რომ კომენტარებსაც კი აღარ ექვემდებარება და ანომალიის სფეროდანაა.

ჩემო კარგო ხელისუფლებავ, ცოდნითა და ინტელექტით, ცოდნითა და ჭკუით გამოტენილო პარლამენტის წევრებო, ჭყონდიდელივით ბრძენო ბოლშევიკებო, პავკა მოროზოვივით მებრძოლო და შეუპოვარო მენშევიკებო, გველის ჭკუით გამოტენილო და სტამბოლის კაჟივით მაგარო პოლიტიკურო პარტიებო, ალექსანდრე მაკედონელივით, პეტრე პირველივით და იოსებ სტალინივით რკინისმკვნეტელო პოლიტიკური გაერთიანებების „ლიდერებო“, ახალი დროის ჰიტლერებო და მუსოლინებო, ამას ნაცბანდის მისამართით ხუმრობით ვამბობ, რომელი ალექსი თუ ალექსეი (ზუსტად არ ვიცი) სტახანოვლები თქვენ ბრძანდებით, რომელიც კადიევკაში (დონბასი) „ცენტრალნაია-ირზინის“ შახტში მნგრეველად მუშაობდა და 1935 წლის 19 სექტემბერს ახალი რეკორდი დაამყარა – ერთ ცვლაში (5 საათსა და 45 წუთში) 227 ტონა ნახშირი მოანგრია, რაც დაახლოებით 30 კაცის ნორმა იყო. ნამდვილად არ ვიცი, ამ „გმირობისთვის“ ძვირფასმა სტახანოვმა რა სახის და რამდენი პრემია და ხელფასის წანამატი მიიღო. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ მის სახელს უკავშირდება სსრ კავშირში სტახანოვური მოძრაობა. მის პატივსაცემად კადიევკას ქალაქი სტახანოვი ეწოდა.

ეს ვიცი-მეთქი, ვთქვი ზემოთ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, თქვენ, ჩემო კარგო ჩინოვნიკებო, ახლა არ გეწყინოთ და მომავალში სახელითა და გვარით მოგიხსენიებთ, რამდენი ტონა ქვანახშირი გამოანგრიეთ ჭიათურის მაღაროში, ჯერ თუ არ გაგიყიდია-გაგიუცხოებიათ?! სტახანოვურ პრემიებსა და ამასაც რომ არ სჯერდებით, ხელფასის ოდენობის 100 და 150-პროცენტიან წამატებებს რომ იჯიბავთ? ერთ ჩინოვნიკს წელიწადში 41-ჯერ მიუღია ხელფასის წანამატი, რამაც 140 ათასზე მეტი ლარი შეადგინა. ეს უკვე კრიმინალია, რაც შეეხება პრემიას, სამწუხაროდ, არ ვიცი, ეს თქვენი პრემია კვარტალურია თუ ყოველთვიური?! ბარემ სოციალისტური შეჯიბრრება გამოაცხადეთ და მეც მივიღებ მონაწილეობას. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს სახელმწიფოს მშენებლობასა და საქვეყნო საქმეებში?! რვა წელიწადს, ანუ ორი მოწვევის დეპუტატი ვიყავი აჭარის უმაღლეს საბჭოში. ჩემი სადეპუტატო ხელფასი 100 ლარი იყო. ძალიან ბევრი კანონპროექტი მაქვს ინიცირებული და მართლა დეპუტატი ვიყავი. მე ვიცნობ საქართველოს პარლამენტის ყოფილ და ახლანდელ წევრებს, ნაციონალებიდან ორი მოწვევის ერთ მაჟორიტარს, 8 წლის მანძილზე არცერთი კანონპროექტი არ შეუქმნია, რადგან ეს მას არ შეუძლია. ის უფრო სავალალოა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ის ორგზის ნაციონალების მაჟორიტარი, 2016 წელს თავისი რიგებიდან გაადეპუტატა. ნათელია, რომ ეს ანგარების გარეშე არ მომხდარა. ახლა თქვენ გაარკვიეთ, ვინ იყო მისი რეკომენდატორი. თქვენ წარმოიდგინეთ, პატივცემულო მკითხველო, როგორ მტკივნეულად აღიქვამენ ამ შემზარავ ფაქტს „ქართული ოცნების“ გულმხურვალე და თავგანწირული აქტივისტები, მათ შორის, მეც. კიდევ მეტიც, მსხვერპლი მაქვს გაღებული საკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. ავადსახსენებელ წლებში ჩემს 12 წლის მარიამს ურეკავდნენ, მამაშენის თავს მოგიტანთო. ბატონი ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას ქართულ პოლტიკაში სულ პირველად მე გამოვეხმაურე და მის გამოჩენას ქართულ პოლიტიკაში მიწისძვრა ვუწოდე. „ქართული ოცნების“ I ყრილობის დელეგატი ვიყავი და მისი გამარჯვებისათვის თავი არ დამიზოგავს. ამ დროს, ჩვენს გაწყობილ სუფრასთან ა.ხაბაძე დასვეს, რომლის არსებობა არავინ იცოდა და „ქართული ოცნების“ აქტივისტები კედელთან მიგვაყენა. უსუსური მმართველობის 4 წელი ნაცების გათეთრებას მოანდომა და აჭარაში ნაცი გააჯეჯილა. ამის შესახებ არაერთხელ დამიწერია, მერე რა? წერე და იკითხე.ამიტომაც იყო, რომ აჭარის პარლამენტმა მისი იმპიჩმენტის საკითხი განიხილა და ერთი ხმით გადაურჩა გაწითლებას. ამაში მას თბილისიდან მაღალჩინოსანი ლობისტობდა. თუ რატომ, ესეც საინტერესო თემაა, მაგრამ აქ აღარ გავშლი. მისი გადეპუტატებაც ლობისტის კისერზეა. ჩვენ კი ვეღოდებით ხაბაძის ინიციირებულ ახალ-ახალ კანონპროექტებსა და კანონებს. თქვენი მტერი არ იყოს ისე... თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღარიბი ქვეყნის მდიდარო ხელისფულებავ, თქვენთვის რომ განვითარებული ევროპული ქვეყნების ჯამაგირი დაინიშნეთ და გაუსაძლის ყოფაში მყოფ ადამიანებს მათხოვრულ პენსიას ურიგებთ, ეს ხომ ანომალიაა. ესეც არ გაკმაყოფილებთ და 3000, 4000 ლარზე მეტ ხელფასებზე პრემიებთან ერთად „დანამატები“ შემოიღეთ, კანონის რომელ ჩარჩოში თავსდება ეს? ესეც აღარ გაკმაყოფილებთ და ახალი კანონპროექტი გაასაჯაროვეთ, რომლის მიზანია ჩინოვნიკების, პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის სპიკერის, მინისტრებისა და მათი მოადგილეების, დეპუტატების ისედაც მაღალი ხელფასების გაორმაგება-გასამმაგება.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განადგურებას საუკუნის დანაშაული უწოდა. განიკითხა ვინმემ? დღესაც განცხრომაში არიან საუკუნის დამნაშავეები, მათ შორის, 1991-1992 წლების თბილისის ომის „გმირები“ და პუტჩისტები.

მე ადრეც მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ, ქვეყნის პირველ პირებს – პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ წესით და რიგით, დეპუტატის და მინისტრების ხელფასი პროფესორის ჯამაგირს არ უნდა აღემატებოდეს. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს, ბათუმის პედინსტიტუტის დოცენტს საქართველოს განათლების მინისტრზე უფრო მაღალი ჯამაგირი ჰქონდა. პროფესორს – უფრო მეტი. ახლა კი პროფესორს, რომელიც მართლაც 24 საათს შრომაში ატარებს, მათხოვრული ხელფასი ეძლევა. მოსამართლეებს ხელფასები გაუზარდეთ, ქრთამი არ აიღოსო. პროფესორმა რა ქნას, აიღოს ქრთამი? რა ქნას დაბალი რანგის პოლიციელმა? რა ქნას პედაგოგმა? რა ქნას ექიმმა? ამ კითხვის გაგრძელება შეიძლება. რა ქნას მწერალმა? ეს ის კითხვებია, რომლის პასუხი ხელისუფლებას არ გაჩნია. ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ბიუჯეტს აქვს საშუალება, წელიწადში, ბიუჯეტი იძლევა ამის საშუალებას, 1 მილიარდი ლარი გამოყოს ანაბრების გასასტუმრებლად. ბევრი მეანაბრე გარდაიცვალა, ჩემი ფიქრით უნდა დაიფაროს გარდაცვლილი პენსიონერების და შემდეგ უმწეოთა ანაბრები. თავი დავანებოთ იმას, რომ ღმერთის არ გეშინიათ. 5 მილიონ 600 ათასი ლარით შიმშილით სიკვდილის პირას მდგარი რამდენი პენსიონერის ანაბარს გაისტუმრებდით?! ანდა რამდენი ადამიანის შემწეობას წაადგებოდა? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ უმწეო მოხუცები და ბავშვები შიმშილითაც იღუპებიან. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ გამოჩენილი ფიზიკოსი, აკადემიკოსი მ.ხვინგია შიმშილით გარდაიცვალა?! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ უმწეო და ულუკმაპურო ადამიანების ანაბრები გადასახდელი გაქვთ! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ უმწეო ადამიანების ანაბრებით თქვენმა ჩინოვნიკებმა ბიზნესი მოიწყვეს?! ახლა ეს ბანკირები წურბელასავით სისხლს წოვენ ჩვენს ხალხს. შარშან, ყველაზე ღარიბი ქვეყნის ბანკებმა მსოფლიოს მდიდარი ქვეყნების ბანკებს შორის, ყველაზე დიდი მოგებით დაასრულა 2016 წელი. ჩვენი ბანკები ანაბრებში ყველაზე უფრო დაბალ დივიდენდს უხდიან, ხოლო თავად გაცემულ სესხებზე მახრჩობელა პროცენტებს ახდევინებენ. კიდევ მეტიც: ბანკები თავის ოპერატორებს, ძალიან კვალიფიციურ მუშაკებსაც კი, რომლებსაც 10-12 საათს არანორმალურ პირობებში ამუშავებენ, გამოსასვლელ დღეებშიც კი, მათხოვრულ ჯამაგირს, თვეში 300 ლარს უხდიან. ევროპის ქვეყნების ბანკირები თანამშრომლებს ძალიან მაღალ ხელფასებს აძლევენ.

ჩემო კარგო მთავრობავ, რატომ არ იცავ ჩვენს მოქალაქეებს წურბელა ბანკირებისაგან?!

ჩვენო კარგო ყოფილო და ახალო ფინანსთა მინისტრებო, უქნარა ჩინოვნიკების ევროპულ ხელფასთან ერთად რატომ უხდით სულ „ბღუჯა-ბღუჯა“ პრემიებსა და სახელფასო წანამატებს, ქართველი ხალხის ოფლითა და სისხლით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან?! რატომ უხდით მილიონებს უცხოეთიდან ჩამოყვანილ ნაფტალინიან მომღერლებს?! აქ მაგალითებს აღარ მოვიტან. თითქოს გუშინ იყო, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ბევრი სხვაც, ტელეეთერში ცრემლებს რომ ღვრიდა, რატომ არ უნდა მივცეთ პრემიები ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, დღე-ღამეს ასწორებენო. დღე-ღამეს მართლაც ასწორებენ, მაგრამ ფეშენებელურ სასტუმროებსა და რესტორნებში, უსაგნო და არაფრის მომტან უცხოურ ვოიაჟებსა და „შოპინგებში“. 24 საათი კი არა, 7 საათი რომ იმუშაონ, საქმე ცოტათი უკეთ იქნება. რატომ ეღიმება ზოგიერთ ჩინოვნიკსა და დეპუტატს აჭარის ხსენებაზე?!

რატომ არ უხდით აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებს სადეპუტატო კომპენსაციას, რომელიც კონსტიტუციით ეკუთვნით?! არის თუ არა ეს დისკრიმინაცია?! ამ დროს, საქართველოს პარლამენტის წევრის ჯამაგირს ასამმაგებთ. მაშინ, როცა პარლამენტში 42 მილიონერი დეპუტატი გიზით. რატომ დაამსგავსეთ პარლამენტი მილიონერთა კლუბს? ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, როცა სადეპუტატო ვადა ამოიწურება, რამდენი ათასი ლარი იქნება მათი სადეპუტატო კომპენსაცია. ხუმრობით გეტყვით, ზიან და ზიანს აყენებენ, ბესო ჟღენტის არ იყოს, პარლამენტს და ქვეყნის ბიუჯეტს!

ამ დროს, გააუქმეთ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში რუსთაველის ეროვნული პრემია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემოდა და საპრემიო თანხა დეპუტატის 1 თვის (ახალი პროექტით) ჯამაგირს არ შეადგენდა. ეს ისეთი კითხვებია, რომლის პასუხს ჭიპზე რომ გასკდე, ვერ მიიღებ. 2016 რუსთაველის წლად იყო გამოცხადებული (850), მაგრამ მწერლების და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა, არავის გახსენებია.

სტატიის სათაურში გამოჩენილი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი ვახსენე, რომელიც დედაუნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო. წარმოიდგინეთ, რომ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ყველაფერი თავიდან დასაწყები და დასალაგებელია. დიდ მეცნიერს მართლაც 24-საათიან რეჟიმში უხდებოდა მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიურად ხელმოკლედ ცხოვრობდა, საერთოდ უარი თქვა ჯამაგირზე, როცა ქვეყანას უჭირს, მისი სამსახურისთვის გასამრჯელოს ვერ ავიღებო. ეს გაკვეთილად უნდა იქცეს ჩვენი მილიონერი დეპუტატებისა და ჩინოვნიკებისთვის. ხომ შეუძლიათ, ხელფასებს თავი რომ დავანებოთ, პრემია-წანამატებზე უარი თქვან. ხომ შეუძლიათ მილიონერ დეპუტატებს, კუთვნილი ჯამაგირი უმწეოთა ფონდში ჩარიცხონ. შეუძლიათ, როგორ არ შეუძლიათ, მაგრამ ამისთვის არ არის კეთილი ნება. ამას წინათ, ერთმა ნაციონალმა დეპუტატმა იკითხა – სად წავიდა აგვისტოს ომის შემდეგ აშშ-ის მიერ გამოგზავნილი 4 მილიარდი დოლარიო. სად წავიდა და ოფშორულ ზონაში მ.სააკაშვილის ანგარიშებზე, ხოლო „მაგარმა“ მიშამ ლტოლვილებისთვის ბარაკები ქართველ ბიზნესმენებს შეაწერა. მის ანგარიშებზე ახლაც ირიცხება თანხები უცხო ბიზნესმენების მიერ ჩვენთან განხორციელებული ინვესტიციებიდან. განმკითხავი არავინაა...

პრეზიდენტმა შევარდნაძემ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განადგურებას საუკუნის დანაშაული უწოდა. განიკითხა ვინმემ? დღესაც განცხრომაში არიან საუკუნის დამნაშავეები, მათ შორის, 1991-1992 წლების თბილისის ომის „გმირები“ და პუტჩისტები...



შოთა ზოიძე,
მწერალი
ქ.ბათუმი.

◎ ეს დამაფიქრებელია!

ტურისტებმა სოციალურად მოგვასუქეს?!

2017 წელს დავასრულებთ 7 400 000 საერთაშორისო მოგზაურით და შემოსავლების ნაწილში ახალი რეკორდით

2017 წელს დავასრულებთ 7 400 000 საერთაშორისო მოგზაურით და ასევე ახალი რეკორდით შემოსავლების ნაწილში, რომელიც მიაღწევს 2 მილიარდ 700 მლნ დოლარს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გიორგი ჩოგოვაძემ** 2017 წლის შეჯამებისას განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, 2017 წელი გამორჩეული და წარმატებული წელიწადია საქართველოში ტურიზმის განვითარების კუთხით და ასევე რეკორდულია უცხოელი ტურისტების თვალსაზრისით.

„2017 წლის 10 თვის განმავლობაში ჩვენ დავეწიეთ 2016 წლის 12 თვის მონაცემებს, ხოლო 11 თვის განმავლობაში ჩვენ დაახლოებით, 7 მილიონი საერთაშორისო მოგზაური უკვე გვყავდა და წელს დავხურავთ 7 400 000 საერთაშორისო მოგზაურით და ასევე ახალი რეკორდით შემოსავლების ნაწილში, რომელიც მიაღწევს 2 მილიარდ 700 მლნ დოლარს“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

რაც შეეხება 2018 წელს, გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად გააგრძელებს საქართველოში ტურისტების მოწვევას.

„ჩვენი ამოცანა იქნება მოვიზიდოთ უფრო მეტი გადახდისუნარიანი ტურისტი ევროკავშირის ქვეყნებიდან და ამავდროულად, განვავითაროთ ტურიზმის ის მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობს ასეთი მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების შემოსვლას. პირველ რიგში, ვგულისხმობთ საქმიანი, გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებას და იმ მიმართულებებს, რომლებიც საქართველოში დინამიკურად გაზრდის ტურისტების რაოდენობას“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

რაც შეეხება ზამთრის კურორტებს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, წლევანდელ წელს ზამთრის სეზონი საქართველოს კურორტებზე წარმატებით ჩაივლის.

„ამის თქმის საშუალებას და უფლებას გვაძლევს იმ ჯავშნების რაოდენობა, თუ როგორი დატვირთულია უკვე სასტუმროები და იქნება ის ზამთრის თვეებში. ზოგადად, მთის კურორტების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა და ყოველწლიურად ასეულობით მილიონი ლარი იხარჯება ამ მიმართულებით. შედეგად ჩვენ ძალიან ბევრ ტურისტს ველოდებით, როგორც ჩვენს თანამოქალაქეებს, ისევე სხვა ქვეყნებიდან“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

დენის იმპორტის სწრაფი მატების შემთხვევაში ტარიფი მუდმივად გაიზრდება!!!

ელექტროენერგიის **იმპორტი თვალშისაცემად იზრდება და ამის მიზეზი ქვეყანაში მოხმარების ელვისებური ზრდაა. რეალურ მიზეზებზე საუბარს ყველა გაურბის, ამასობაში კი დენი მუდმივად ძვირდება.**

2017 წელს 11 თვის მონაცემებით, ქვეყანაში 1 მილიარდ 362.5 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა, რაც მთელი გასული წლის მაჩვენებელს (478.9 მლნ კვტ/სთ) დაახლოებით სამჯერ აღემატება.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **რომეო მიქაუტაძე** იმპორტირებული ელექტროენერგიის ზრდაზე ზოგადად საუბრობს. მისი თქმით, ელექტროენერგიის იმპორტი წელს იმ მოცულობით გაიზარდა, რა მოცულობითაც მოხმარება. ამიტომ იმპორტის დასაბალანსებლად გენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობა იგეგმება.

„ჩვენ ამ კუთხით ვმუშაობთ. დაგეგმილია ახალი თბოელექტროსადგურის, ასევე რიგი ჰესების მშენებლობა. გარდა ამისა, მეზობელ ქვეყნებთან გვაქვს დამაკავშირებელი ხაზები და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ობიექტი დაიგვიანებს, შესაძლებელია იმპორტის განხორციელება ნესბიმიერი ქვეყნიდან და ამ კუთხით დივერსიფიცირებულები ვართ“, — აღნიშნა მიქაუტაძემ.

ელექტროენერგიის მოხმარება ბოლო პერიოდში სულ უფრო იზრდება და ელექტროენერგია, როგორც პროდუქტი ძვირდება. სემეკის თავმჯდომარე **ირინა მილორავა** ამბობს, რომ მოხმარების ზრდა არის ქსელური კომპანიებისთვისაც გამოწვევა, ვინაიდან იზრდება დატვირთვა სექტორში, შესაბამისად, ქსელი და ინფრასტრუქტურა ამ გამოწვევას მომზადებული უნდა დახვდეს.

„1 მლრდ კვტ/სთ-ით გაიზარდა მოხმარება და 2020 წლისთვის იმ საპროგნოზე ბალანსებით, რომელსაც ჩვენ დავეყრდენით, კიდევ 20%-ით იზრდება მოხმარება. ტარიფის დათვლისას ორი მეთოდოლოგია გამოიყენება — ზღვრული ფასების და ზღვრული შემოსავლების მეთოდოლოგიები, ჩვენ ვიყენებთ ზღვრული შემოსავლების მეთოდოლოგიას. ეს ნიშნავს, რომ თუ მოხმარება გაიზარდა, კომპანია არ იღებს დამატებით შემოსავალს. თუ რამე დამატებით მიიღო, ჩვენ მომდევნო წელს ვაკორექტირებთ ამ ტარიფს და უკან მოგვაქვს მოხმარების ზრდით მიღებული შემოსავალი.

საერთოდ ორი ფაქტორი მოქმედებს განაწილების ტარიფზე: პირველი — გაზრდილი ქსელური მოხმარება, რომელიც ტარიფს შემცირებისკენ ექაჩება და მეორე — ინვესტიციების ნაწილი, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ ტარიფზე იმოქმედა“, — განაცხადა ირინა მილორავამ.

ერთადერთი, რაც ელექტროენერგიის გაძვირების ორომტრიალში გამოიკვეთა ის არის, რომ შეიძლება სოციალურად დაუცველთათვის ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდირება მოხდეს. ამ საკითხზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ჯერჯერობით უცნობია, დახარჯავს თუ არა მთავრობა დამატებით თანხას ამ მიმართულებით, ვიდრე ეს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული.

„ჩვენი მოსახლეობისთვის კეთილდღეობის პირობების შექმნა, რა თქმა უნდა, მთავრობის უმთავრესი ამოცანაა. დარწმუნებული ვარ, ამ საკითხთან დაკავშირებით რაციონალური გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ანუ შეიძლება, მოხდეს სოციალურად დაუცველთათვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემა, რომლითაც მოხდება ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის დაბალანსება. კონკრეტულად ვადებზე გამიჭირდება პასუხის გაცემა, მაგრამ ამაზე მიმდინარეობს მუშაობა და ყველაფერი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი“, — განუცხადა „საქმის კურსს“ რომეო მიქაუტაძემ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ბიუჯეტში მიმდინარე წელს კომუნალურ სუბსიდირებაზე განსაზღვრული იყო 10 მილიონ 850 ათასი ლარი, 2018 წელს კი შედარებით ნაკლები — 8 მილიონ 560 ათასი ლარია გათვალისწინებული.

ბექა დანელია

მაჩალიკაშვილის სახლში ექსპერტები იწყებენ მუშაობას

სპეცრაზმის მიერ დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახი საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის ჩართვას აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ოთახში, სადაც მაჩალიკაშვილი დაჭრეს, პროკურატურის წარმომადგენლები ექსპერტიზის ჩასატარებლად მიდიან, ხოლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დღეიდან ადგილზე იმუშავებს ნიკოლეიშვილიც.

„დღეს დაიდება ხელშეკრულება და ჩვენ დავიწყებთ მტკიცებულებების მოპოვებას. ჩვენ დავუკავშირდით მაია ნოკოლეიშვილს და გვსურს, რომ ის ჩაერთოს პროცესში და დადოს დასკვნა. მაჩალიკაშვილის სახლში მოხდება პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზის ჩატარება. ჩვენი მხრიდან ექსპერტიზა კი, სავარაუდოდ, ხვალიდან ჩატარდება. ტერიტორია არის ხელუხლებელი, ოთახი ნარჩუნდება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იყო“, — **განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.**

საქმე ეხება პანკისის ხეობას, რომელიც უფრო მტკივნეულია, ვიდრე ვაკე ან საბურთალო

საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს.

„როცა საქმე ეხება პანკისის ხეობას, რომელიც უფრო მტკივნეულია, ვიდრე ვაკე ან საბურთალო. ვითარება რთულია და თუ არ გამოვლენ დამაჯერებელი პასუხებით, სიტუაცია შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს. კითხვა ძალიან ბევრი არსებობს, იგივე, ჩატაევმა, როგორ ვერ მოახერხა თავისი კომპიუტერის განადგურება, როცა კაცმა თავი აიფეთქა და 24 საათი წინააღმდეგობას უწევდა სამართალდამცავებს. ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, ამ კითხვებზე ბუნებრივია, რადგან პასუხი არ არსებობს, ამიტომაც სიტუაცია უფრო იძაბება და ჩნდება შეთქმულების თეორიები,“ — განაცხადა თორნიკე შარაშენიძემ.

სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულები ორი წელი საქართველოში ცხოვრობდნენ!

მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატის მარიამ კუბლაშვილის ინფორმაციით, ახმედ ჩატაევთან ერთად ლიკვიდირებული ორი პირი სპეცოპერაციის ჩატარებამდე საქართველოში დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

„არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც აქამდე არ მითქვამს — ახმედ ჩატაევთან ერთად ლიკვიდირებული ორი ადამიანი, სავარაუდოდ, თითქმის ორი წელი იმყოფებოდა საქართველოში, ისინი ახმედ ჩატაევთან ერთად არ შემოსულან საქართველოში. ყურადსაღებია, რომ მათ რამდენიმე ადამიანთან უნებლიეთ ჰქონდათ შეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვიმუშავებთ და გავაკეთებთ არაერთ გამოკითხვის ოქმს და წარვადგენთ ძალიან მნიშვნელოვან მტკიცებულებას. ეს მტკიცებულებები ჩვენ უკვე გვაქვს“, — განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

ᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲘ

ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲐᲑᲘᲯᲐ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲛᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ, 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲛ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲤᲔᲮᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲫᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲡ ᲐᲠ ᲔᲚᲘᲡ (ᲐᲘᲝ, ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲒᲕᲘᲫᲕᲘᲠᲔᲡᲝ, ᲘᲨᲝᲕᲔᲡ ᲡᲐᲬᲣᲬᲣᲜᲝ). ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲛᲐ ᲛᲖᲘᲐᲜᲛᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲛᲐ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲙᲕᲚᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲘᲫᲠᲝᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲐᲠᲒᲕᲐᲚᲖᲔ!..

ᲟᲐᲛᲗᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ:

თურქეთში გადახვეწილმა იმერეთის უკანასკნელმა მეფემ სოლომონ II-მ **1811 წლის 6 იანვარს** წერილი გაუგზავნა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ ბონაპარტს და რუსთა ძალმომრეობის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი უპასუხოდ დარჩა.

* * *

786 წლის 6 იანვარს თბილისში არაბებმა თავი მოჰკვეთეს ერისმთავარ ნერსე II-ის მსახურს, მენელსაცხებლე აბოს.

VIII საუკუნე საქართველოს დაპყრობილი აქვთ არაბებს და ყოველ ღონეს ხმარობენ ქართველთა დასათრგუნად, შიშით გათანგული ქვეყანა ირყეოდა „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, 766 წელს აჯანყდა კახეთი, მაგრამ სისხლში ჩაახშეს: დამარცხდა აჯანყებული ქართველიც. აჯანყების ხელმძღვანელობა ქართლის ერისმთავარს ნერსეს დაბრალდა. ის ბაღდადში იხმეს და 3 წელი გაატარა ტყვეობაში, მან იქ გაიცნო 17 წლის მენელსაცხებლე აბო, რომელიც განთავისუფლების შემდეგ თან წამოჰყვა ერისმთავარს.

ნერსე ქართულ პოლიტიკას განაგრძობდა, რამაც ძალიან განარისხა ამირა. ნერსე იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო, ქართლის ერისთავებთან ერთად დარიალის ხეობით ხაზარეთში გადავიდა. მის თანმხლებთა შორის იყო აბოც. ხაზარეთში ყოფნისას აბომ, რომელიც კარგა ხანს აკვირდებოდა ქართველთა სარწმუნოებას, ქრისტიანობა მიიღო.

ხაზარეთიდან დევნილები აფხაზეთში გადავიდნენ, შემდეგ ისევ ქართლში დაბრუნდნენ, 3 წელი მოღვაწეობდა აბო ტფილისში. ძველმა თანამემამულეებმა დაასმინეს და ამირას მსახურებმა შეიპყრეს ნეტარი აბო. მას სარკინოზთა სჯულზე დაბრუნება შესთავაზეს, მაგრამ მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე. დილეგში ჩააგდეს და სიკვდილი გადაუწყვიტეს.

შეგახსენებთ: 786 წლის 8 იანვარს აბოს თავი მოჰკვეთეს, იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. წმინდა აბო თბილისის მფარველად არის მიჩნეული.

* * *

1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა იქ ელჩად მყოფი ქართლის მეფე (1744-1762 წლებში), ერეკლე I ნაზარალი-ხანის ძე და ერეკლე II-ის მამა თეიმურაზ მეორე, გამოჩენილი პოეტი და მთარგმნელი.

იგი რუსეთს 1760 წლის აპრილში გაემგზავრა დახმარების ან ჯარის დასაქირავებლად საჭირო ფულის სათხოვნელად. ამ დახმარების ამაო მოლოდინში მოულოდნელად აღესრულა. ამალის წევრებმა იგი ასტრახანს წაასვენეს და იქ მიძინების ტაძარში, ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს.

თეიმურაზის მეფედ კურთხევა სვეტიცხოველში ქრისტიანული წესით, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. საუკუნეზე მეტი არ ემეფა ქართლსა და კახეთში ქრისტიან მეფეს, ირანის შაჰმა თეიმურაზს დაუბრუნა XVII საუკუნეში შაჰ-აბას I-ის მიერ მიტაცებული მხარეები: ლორე, ბორჩალო, ბაიდარი, ყაზახ-ბორჩალოც ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილება გახდა. თეიმურაზმა თავის ვაჟთან, კახეთის მეფე ერეკლესთან ერთად შეუტია ქვეყანაში მომძლავრებულ „ლეკიანობას“, მჭადიჯვრისა და ყვარლის ციხეებთან დაამარცხეს მათი დიდი ლაშქარი. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა და ამით ქართველ მამულიშვილთა დიდი ხნის ოცნება აღასრულა.

* * *

1792 წლის 9 იანვარს რუსეთ-თურქეთს შორის ზავი დაიდო, რომლითაც ძირითადად კვლავ დამტკიცდა... ოსმალეთის „უპირატესი უფლებები“ დასავლეთ საქართველოზე. რუსეთის დახმარების იმედი არც ამჯერად გამართლდა.

* * *

1919 წლის 11 იანვარს საშინელი ტრაგედია დატრიალდა თერგის ოლქის ვლადიკავკაზის მაზრის სოფელ ალაგირში, სადაც იმ დროისთვის 300-მდე ქართული კომლი ცხოვობდა (ძირითადად რაჭველი უმიწაწყლო გლეხები, რომელთა ალაგირში ნებაყოფლობითი ჩასახლებაც 1879 წელს დაიწყო). ჰქონდათ ოთხწლიანი სკოლა, კლუბი, სცენისმოყვარეთა და მომღერალ-მგალობელთა გუნდი, ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ოსმა რეაქციონერებმა ალაგირს გენოციდი მოუწყვეს. მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები მოულოდნელად შეიჭრნენ სოფელში და საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს: ზოგი დახვრიტეს, ზოგს ყელი გამოჭრეს, ზოგი კარჩაკეტილ სახლებში გამოწვეს. დაიტაცეს მთელი ქონება, საქონელი, გაძარცვეს ეკლესია, დაეპატრონენ ქართველთა სახლებს. ყველა გადარჩენილი აყარეს, ბევრი ლტოლვილი გზაში დაიღუპა.

ლტოლვილთა მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ალაგირის ტრაგედიას საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ლენინიც კი გამოეხმაურა... ეს რა საშინელება მოხდაო, უთქვამს ლენინს...



სამწუხაროდ, ამით დამთავრდა ყველაფერი...

* * *

1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე, გმირი „პატარა კახი“, ერეკლე მეორე.

დიდმა სარდალმა უამრავი წარმატებული ომი გადაიხადა მუსლიმანური სახანოებისა და ლეკების წინააღმდეგ. 1762 წელს გააერთიანა ქართლისა და კახეთის სამეფოები. 1774 წელს შემოიღო მორიგე ჯარი (მუდმივი ჯარი). 1783 წ. 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში ხელი მოეწერა ტრაქტატს რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების შესახებ. 1790 წელს ორგანიზება გაუკეთა შეთანხმებას „ივერიელ მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოების“ შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა“.

* * *

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის მიერ 1800 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ.

1125 წლის 24 იანვარს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს უდიდესი ხელმწიფე დავით IV აღმაშენებელი, მეფე „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“, დიდგორის ძლევამოსილი ომის გმირი, მტერთა რისხვა და ქვეყნის ერთ მუშტად შემკვრელი. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა დიდებული, განათლებული და ძლევამოსილი მეფე, „სახელგანთქმული, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის, ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღვდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; კაცთმოყვარე, ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“...

* * *

1213 წლის 27 იანვარს გარდაიცვალა წმინდა თამარი, მეფე ყოვლისა საქართველოისა. 12 წლისა ავიდა ტახტზე, როგორც მამის – გიორგი III-ის თანამოსაყდრე, ხოლო 18 წლისა (1184 წელს) ერთადერთ მბრძანებლად იქცა „მზე მზეთა და ნათელი ნათელთა“.

1195 წელს თურქებმა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ, თამარმა სასწრაფოდ ქუდზე კაცის შეყრა ბრძანა. ბრძოლა ციხე-ქალაქ შამქორთან ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

1203 წელს ქართველებმა ბასიანთან სასტიკად დაამარცხეს სულთან რუქნადინის თურქთა უზარმაზარი ლაშქარი.

თამარის დროს აშენდა ციხე-ქალაქი ვარძია, მრავალი ეკლესია-მონასტერი, ხიდი და ციხე-სიმაგრე. მან აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია სათაყვანებელ მეფეს, გარდაიცვალა 47 წლის ასაკში (1213 წელს) და „წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა და დაუტევა სამეფო ძესა „თუისსა ლაშას“.

* * *

826 წლის 29 იანვარს დოლისყანის ეკლესიაში მოღალატეებმა „მახვილითა საკურთხეველთა ზედა მოკლეს წმინდა მეფე აშოტ დიდი კურაპალატი“.

აშოტი ადარნასე ბაგრატიონის ძე იყო, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის მამამთავარი. ქართლის ერისმთავარმა 786 წლიდან აშოტმა ისარგებლა არაბთა სახელმწიფოს შესუსტებით და კავშირი დაამყარა ბიზანტიასთან, მიიღო კურაპალატის ტიტული, სათავეში ჩაუდგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა, გაქცეულიყო შავშვეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ექვემდებარებოდა. იქ მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სახელმწიფოს.

* * *

1812 წლის 31 იანვარს კახეთში ანტირუსული აჯანყება დაიწყო. მისი უმთავრესი მიზეზი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება იყო. ამას ერთვოდა რუს ხელისუფალთა მიერ მოსახლეობის ეკონომიკური ჩაგვრა. აჯანყებას პირველ ეტაპზე (თებერვალ-მარტი) ხელმძღვანელობდა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე (მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილი), მეორე ეტაპზე (აპრილ-ნოემბერი) – ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე. ათი თვის განმავლობაში გაგრძელებული ანტირუსული ბუნტი 1812 წლის 28 ნოემბერს მანავთან კახელთა დამარცხებით დასრულდა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ! ᲧᲕᲔᲚᲐᲡ! ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
სამეგრელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა
და გათიშვა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის,
ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც, სადაც წავწვდი,
ერთიანად მოვთხარე...
მიყვარს - მტკვარი,
მიყვარს - ქსანი,
ტეხურა და ენგური!
მიყვარს - „ლილე“,
მიყვარს - „ლალე“,
მიყვარს - „ჩელა“ მეგრული...
მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველო –
ვიყოთ მისი ერთგული!
დღეგრძელ იყოს, საქართველოვ,
შენი მზე და შენი ცა,
მრავალ ათს, მრავალ ათას,
მრავალ ათას წელიწადს!

„2001-2003 წლები არ უნდა დაბრუნდეს“

ხელისუფლებას მაქსიმალური გონიერება მართებს!

მოვლენებით სავსე 2017 წელი მოლოდინებით სავსე 2018 წელმა შეცვალა – ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გადახედა საკუთარ ნაღვაწს და სამომავლო გეგმებიც დაგვისახა. როგორი იყო განვლილი წელი და რა პოლიტიკურ დინებებს უნდა ველოდეთ ახალი წლისთვის, ამ თემაზე ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.

ვახტანგ ძაბირაძე: გასული წელი მნიშვნელოვანი მომენტების სიმცირით ნამდვილად არ გამოირჩეოდა – დავიწყოთ იმით, რომ გაზაფხულზე დაიწყო მუშაობა კონსტიტუციის ახალ პროექტზე; შემდეგ იყო – მარტის ამბები ბათუმში; მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია; ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ბოლოს – სამთავრობო ცვლილებები.

ერთი წლისთვის საკმაოდ ბევრია, თუ ამას დავუმატებთ აშშ-სთან მიღწეულ შეთანხმებას სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ – „ჯეველინები“ მაქვს მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ არც თუ მცირე ოდენობის მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

– როგორ გაართვა თავი ამ ყველაფერს საქართველომ? ხელისუფლების მიმართ კი ისმის კრიტიკა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფაქტობრივად, უძრაობის პერიოდს დავაღწიეთ თავი...

– შესაძლოა, ყველაფერი არ არის ისე, როგორც თითოეულ ჩვენგანს სურს, მაგრამ მეთოდურად მივიწევთ წინ – უმნიშვნელოვანესი იყო ვიზალიბერალიზაცია, ნატოსთან ურთიერთობები, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება, რომელიც არ არის მხოლოდ რამდენიმე სარაკეტო დანადგარის გადმოცემა – უფრო დიდია განაცხადი, ვიდრე ეს გადმოცემული ტექნიკით გამოიხატება – ამ მხრივ შეიძლება, ითქვას, რომ ყველაფერი რიგზეა.

თუმცა კვლავაც რჩება უმთავრესი პრობლემა – ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ეს პრობლემა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან არსებობს, მანამდე იმპერიის შემადგენლობაში ვიყავით, ანუ კვლავ რუსული პრობლემა რჩება დღის წესრიგში და ამ მიმართულებით რაღაც მნიშვნელოვანი გარღვევა ვერ მოხდება და არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალ წელს პუტინისტური პოლიტიკა კიდევ 7 წლით გაგრძელდება. ასე რომ, ამ შემთხვევაში დიდი იმედები და ილუზიები არ უნდა შევიქმნათ და, ალბათ, ვერც შევქმნით.

– მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნებია საქართველოშიც და რუსეთშიც. რამდენად შეიძლება იქონიოს ამ ფაქტებმა გავლენა მოვლენათა დინამიკაზე?

– საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გავლენას ვერ მოახდენს ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაზე, ეს უფრო პოლიტიკურ ძალთა რეიტინგების და მათ მხარდამჭერთა ძალების განსაზღვრაა. მოგეხსენებათ, საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობა არ არის, არც – საპარლამენტოა და ძირითად მიმართულებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის, მთავრობა აყალიბებს.

რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას, არ მეგულება ვინმე, ვისაც ერთპროცენტიანი გამარჯვების შანსი მაინც აქვს პუტინთან ბრძოლაში. ფაქტობრივად, იქ არჩევნები არ ტარდება, მაგრამ როგორი არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს, პუტინი მაინც გაიმარჯვებს. შესაბამისად, გაგრძელდება ის პოლიტიკა, რაც იყო აქამდე და საქართველოს ხელისუფლება უნდა ეცადოს, არ დაუშვას კატასტროფული შეცდომა, არ წამოეგოს რაიმე პროვოკაციას, როგორც ეს მოხდა 2008 წელს. სხვა მხრივ, არ ველოდები რომ ჩვენს მიმართ რუსეთის პოლიტიკა შეიცვლება.

საქართველო აქტიური უნდა იყოს ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობაში, რათა შევაჩეროთ რუსეთი, თუმცა ძალიან მეეჭვება, რომ ამ ეტაპზე რაიმე დათმობებზე წავიდეს.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები თავად რუსეთში, არა მარტო პოლიტიკური, არამედ – ზოგადად. რუსეთი ბოლო 7-8 წელია, არა მხოლოდ საქართველოსთვის არის პრობლემა, არამედ ევროპისა და მთელი დასავლეთისთვისაც.

ის ადამიანებიც, რომლებიც, ფიგურალურად რომ ვთქვათ, რუსეთთან დიალოგისა და ლოიალური დამოკიდებულების მომხრე იყვნენ, პოზიციას იცვლიან და მათი რიცხვიც მცირდება – რუსეთი ისევ და ისევ ყალიბდება საშიშ მეზობლად არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დასავლეთ ევროპისთვისაც. აქედან გამომდინარე, რუსეთთან პოლიტიკის გარღვევას არ უნდა ველოდოთ, არ მგონია, რომ ეს შესაძლებელი იყოს.

– რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, იმის მიუხედავად, რომ წლის ბოლოს მთავრობის, ერთი შეხედვით, ეფექტური ცვლილებები განხორციელდა, მთავარ გამოწვევად რჩება სოციალური ფონი. ბიუჯეტი საამისო იმედს არ იძლევა, მაგრამ ამის მიუხედავად, ელოდებით, რომ მთავრობის ეფექტურობა აისახება ქვეყანაზეც? ადამიანები იგრძნობენ, რომ მათზე ვინმე ზრუნავს და ხელისუფლება ხალხის სამსახურშია? – ასეთ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, მრავალი წელია, ვერ მივაღწიეთ...

– მოდით, ასე ვთქვათ, აქვს თუ არა ამ ხელისუფლებას რესურსი იმისა, რომ არასასურველი მიმართულებით წასული პროცესები შეაჩეროს და შემდეგ სასიკეთოდ შემოატრიალოს? – ჩემი შეფასებით, ამის რესურსი ხელისუფლებას აქვს, თუმცა, მის ამოქმედებას სჭირდება მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი ხელისუფლების.

საჭიროა გაბედული და ზოგჯერ არაორდინარული ნაბიჯების გადადგმაც, აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუციების ჩამოყალიბება, სამართლიანი, მაგრამ მტკიცე ხელი ხელისუფლებაში – საკმაოდ ბევრი ფაქტორია ასამოქმედებელი.

თუ ყველაფერი დარჩება იგივე და მხოლოდ პერსონალიები გამოიცვლება, რა კარგი ფიგურებიც არ უნდა იყვნენ პოსტებზე, არაფერი შეიცვლება.

მაგალითად, ძალიან კარგი გამოსვლა ჰქონდა შს მინისტრს პარლამენტში წარდგენისას. არ ვიცი, როგორ მოახდენს რეალიზებას, მაგრამ ჩანდა სურვილი რეფორმირებისა. თუმცა, შს სამინისტრო ზოგადად რომ ვთქვათ, არის სახელმწიფო სახელმწიფოში, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ამ ერთი უწყების რეფორმირება არაფერს მოგვცემს. შესაძლოა, იყოს კარგი მინისტრი, იყოს პროგრესი, მაგრამ არ უნდა დავიიმედოთ თავი იმით, რომ გუშინდელზე ცოტა უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა – ეს ფრაზა უნდა ამოვარდეს ლექსიკიდან, ჩვენ ცოტა უკეთესი კი არა, კარგი გვინდა! წინ წასვლა გვინდა და ეს ტემპი უნდა გაძლიერდეს.

ახლაც ამ აზრზე ვარ და ყოველთვის მომხრე ვიყავი მცირე მთავრობების, მაგრამ ეს მექანიკურად სამინისტროების შეკვეცას არ ნიშნავს. რასაც ვუყურებ, ბიუროკრატია უაღრესად გაზრდილია. ეს სიპებშია გადანაწილებული თუ აიპებში, მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საბიუჯეტო სახსრებზეა ლაპარაკი. ამასთან, ძალზე პრობლემურია ტენდერების თემა, მხედველობაში არ მაქვს „უცნობთან“ დაკავშირებული მოვლენები – ეს შეიძლება იყოს ერთი მაგალითი, თუ როგორ ტარდება ტენდერები.

მეორე საკითხია, როგორ სრულდება ტენდერები – ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ დაბალი ხარისხის მომსახურებას ვიღებთ. გამარჯვებული ფირმები ნაკისრ ვალდებულებას ან არ ასრულებენ, ან ძალიან უხარისხოდ – ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

ცალკე პრობლემაა სოციალური საკითხები, პრობლემაა ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი თანდათანობით ქრება და მსხვილი, კორპორაციული ბიზნესი იკავებს ბაზარს, რაც შემდეგ, ასევე პრობლემა გახდება. ცალკეა საბანკო სისტემა, რომელიც ასევე პრობლემაა.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც აინტერესებს, როგორ განვითარდება ქვეყანა ხვალ და ზეგ, შოუს მაყურებელი აღმოჩნდა. ახლა უკვე ჯერი იმაზეა, რომ დროულად გადაიდგას ის ნაბიჯები, რომლიც დაგვანახვებს, რა და როგორ ხდება.

– თუმცა ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც ერთდროულად, აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის მიმართ, საზოგადოებაში დადებითი განწყობაა შექმნილი. სააკაშვილის დროს, მაგალითად, ყველამ იცოდა, რომ მინისტრები არაფერ შუაში იყვნენ და საღებავის ფერსა და შენობის არქიტექტურასაც პრეზიდენტი განსაზღვრავდა – დღეს ტენდენცია შეიცვალა? ხალხთან მიახლოების პროცესის ჩანასახია?

– შესაძლოა, გარკვეული სამინისტროების მუშაობის ეფექტურობა ჩანს, აღარაფერს ვამბობ ჯანდაცვაზე – საყოველთაო ჯანდაცვა წარმატებული პროექტია, შესაძლოა, კორექტირებებია საჭირო, მაგრამ მთლიანობაში, სახელმწიფომ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა აიღო საკუთარ თავზე – ეს დიდი მოვლენა და ძვირი სიამოვნებაა ისეთი ღარიბი სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა. ალბათ, სახელმწიფოს მოვლეობა ესეც არის და ჯანდაცვის მინისტრისადმი რომ დადებითი დამოკიდებულებაა, ეს გასაგებია.

აღსანიშნავია სასჯელაღსრულების სამინისტრო – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე წლებია, არც საერთაშორისო და არც სხვა დაწესებულებებს არ უთქვამთ, ნახეთ, რა ხდება კახა კახიშვილის სამინისტროშიო. შესაძლოა, ჩვენი პენიტენციური სისტემა დასავლეთისას ვერ გაუტოლდება, მაგრამ ჩანს პოლიტიკური ნება და სწრაფვა გაუმჯობესებისკენ.

რა გითხრათ სხვა სამინისტროებზე – ეკონომიკური გუნდი რთულ ვითარებაშია, გამომდინარე, თუნდაც ობიექტური რეალობიდან და ძნელია აქ მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდეს.

ხელისუფლებას აქვს რესურსი, პროცესები სასურველი მიმართულებით შემოაბრუნოს. მას აქვს დრო, მაგრამ არც ისე დიდი – საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნები არ წყვეტდეს რეალურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ეს არჩევნები იქნება ის ბოლო წერტილი, რომლის შემდეგაც გამოჩნდება საით წავა ქვეყანა. წავალთ დაპირისპირებისა და რევოლუციისკენ თუ გვექნება საშუალება, დინამიკურად განვვითარდეთ.

ეს ერთი წელი ხელისუფლებამ გარდა მიმდინარე პრობლემებისა, სწორედ იმ სტრატეგიის შემუშავებას უნდა მოანდომოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ რეალურად განხორციელდება. თუ ამ მიმართულებით წავიდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ პროცესები მშვიდობიანად განვითარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდი ტენდენციების შეჩერება შეუძლებელი იქნება.

– რამდენად ეცლება ხელისუფლებას ამისათვის, ძნელი სათქმელია, რადგან პროგნოზირებენ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით დაწყებულმა შიდა დინებებმა შეესაძლოა, „ჯეებირებიც“ გადმოანგრიოს. ამ მიმართულებით გამწვავებას ელოდებით?

– როდესაც სტრატეგიაზე ვსაუბრობ, ამ მომენტსაც ვგულისხმობ. უმრავლესობა არ არის ერთნაირი, განსხვავებულები არიან ბევრი მიმართულებით, მათ შორის, მომავლის ხედვით, არც ფრაქციებად დაშლაშია რაიმე საგანგაშო, მაგრამ მნიშვნელოვანია, უმრავლესობაში ჩამოყალიბდეს უმრავლესობა, რომელიც ასეთ სტრატეგიას შეიმუშავებს და იქნება ერთიანი მომავლის სტრატეგიულ ხედვებში.

თუ ასეთი გუნდი ვერ შეიქმნება და ფრაქციებად დაქსაქსული უმრავლესობა გვექნება, შესაძლოა, ისევ უმრავლესობის მხარდამჭერი, მაგრამ მთვლემარე მდგომარეობაში, არ იქნება პროცესებში აქტიურად ჩართული, სწორედ ამ შემთხვევაში წავალთ არასასურველი მიმართულებით.

გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიცია ძალიან სუსტია და მათგანაც უნდა ამოარჩიოს ხელისუფლებამ, ვისთან თანამშრომლობას შეძლებს და ვისთან – არა, ისე როგორც საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელიც მის მიმართ გუნდრუკის კმევით არ არის დაკავებული, მაგრამ ქვეყნის განვითარების ხედვები გააჩნია, მათ შორის, თანამშრომლობაა საჭირო მედიასაშუალებებთან.

2003 წლის სცენარი რომ განვითარდეს, კაცმა არ იცის, რა გაგრძელებას მიიღებს, რადგან მაშინ სხვაგვარად გადაწყდა რაღაც. ქვეყნის გარეთ არსებობდა ერთიანი მიდგომა როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის მხრიდან. ამიტომაც განვითარდა ის პროცესი მშვიდობიანად.

დღეს ვითარება ისედაც ურთიერთდაძაბულია და ყველა მეზობელი შეეცდება, მისთვის სასიკეთო გავლენა მოიპოვოს, რაც შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის სრულებითაც არ იყოს სიკეთის მომტანი.

ძალზე რთული პრობლემები აქვს ამ ხელისუფლებას გადასაჭრელი, რისთვისაც მაქსიმალური მობილიზება, ძალისხმევა და გონიერება მართებს.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

კიევში სააკაშვილის სასამართლო 11 იანვრამდე გადაიდო

კიევის სააპელაციო სასამართლოში მთავარი პროკურატურის სარჩელის განხილვა მიხეილ სააკაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შესახებ გადაიდო.

პროცესი, სავარაუდოდ, 11 იანვრისთვის გადაიდო.

პოეტ ზვიად რატიანის საქმე სააპელაციოში გასაჩივრდება



რატიანის საქმეზე საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გავასაჩივრებთ, – ეს განაცხადა პოეტ ზვიად რატიანის ადვოკატმა ანა ნასრაშვილმა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას. მისი თქმით, სააპელაციოში გასაჩივრების ვადა 8 იანვრამდე აქვთ. „აუცილებლად გავასაჩივრებთ საპელაციოში , დრო გვაქვს 8 იანვრამდე. ამ დროისთვის ველოდებით დასაბუთებულ განჩინებას“, – განაცხადა ნასრაშვილმა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

„ეს ბიჭი რა კარგი გოგოა...“

რამდენიმე წლის წინათ ევროვიზიის კონკურსში გამარჯვებული ავსტრიელი წვერებიანი „მანდილოსნის“ კონჩიტა ვუსტის ამბავი, რომელიც სქესის შეცვლამდე თომას ნოივირტად იწოდებოდა, ბევრს გვახსოვს. ამერიკელი კინორეჟისორი ძმები, ამჟამად დები — ვაჩოვსები, რომლებიც ცნობილი ტრანსგენდერები არიან. ყველა გეი-აღლუმში მონაწილეობით იწონებენ თავს. ტრანსგენდერთა რაოდენობა ამერიკასა და ევროპაში კი გამუდმებით იზრდება.

2017 წლის ოქტომბრის დამლევს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ყველა ოფიციალური დოკუმენტიდან და ნორმატიული აქტიდან სიტყვების — **„ფეხმძიმე ქალის“** ამოღების წინადადებით მიმართა. მათ მაგივრად, ბრიტანეთის ფორაინ ოფისის წარმომადგენელთა აზრით, რეკომენდებული უნდა იყოს სიტყვა — **„ფეხმძიმე ადამიანი“**. ამ უცნაური მიმართვის მიზეზი ის ყოფილა, რომ ამ კონტექსტში სიტყვა „ქალი“ დიდად შეურაცხყოფს ტრანსადამიანებს, პირველ ყოვლისა, მათ, ვინც ბიოლოგიურად კი ვითომ მამაკაცია, მაგრამ თავს ქალად თვლის.

ბრიტანელ ხელისუფალთა ეს წინადადება ტრანსსექსუალების მიერ წარმოშობილი პრობლემების აისბერგის მხოლოდ წვერია. ეს ის პირები არიან, რომლებმაც სქესი ქირურგიული ოპერაციების შედეგად შეიცვალეს. მათ ტრანსგენდერებიც „ენათესავებიან“, ანუ ისინი, ვინც თავს საპირისპირო სქესის ადამიანს უწოდებს და შესაბამისადაც იქცევა, თუმცა კი ქირურგიული გზით სქესი არ შეუცვლია.

ასეთ პირთა რიცხოვნობა დასავლეთში და, სამწუხაროდ, ჩვენშიც, გამუდმებით მატულობს, ეს პრობლემა კაცობრიობის ისტორიაში არახალია, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ დედამიწაზე პირველი ტრანსგენდერები კუნძულ ჰაიტიზე მცხოვრები ტომის **ტაინოს** ინდიელები იყვნენ.

ზრდასრული ტაინოები, რომლებიც ბავშვებს მეთვალყურეობდნენ, აკონტროლებდნენ, რომ ისინი სქესის შესაბამისად მოქცეულიყვნენ: ბიჭები ერთმანეთში უნდა ჩხუბობდნენ და ხეებზე უნდა დაძვრებოდნენ, გოგონები კი დედების გვერდით მშვიდი საოჯახო საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. მაგრამ თუკი ბიჭუნას ზედმეტად მშვიდობისმოყვარული ხასიათი გამოყვებოდა, ჩხუბსა და აყალმაყალს მოერიდებოდა, გოგონა კი ახტაჯანა გამოდგებოდა და ბიჭური თამაშებისადმი მიდრეკილი აღმოჩნდებოდა, ინდიელები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ბავშვისთვის თავიანთი „ჭეშმარიტი“ სქესის დაბრუნება იყო საჭირო. ამიტომ ზედმეტად ლმობიერ ბიჭუნებს გოგონებივით აცმევდნენ და სხვა გოგონებთან თამაშს აძალებდნენ, ხოლო ანც გოგონებს კი გამუდმებით აჩხუბებდნენ და სხვა ბიჭებთან თამაშს აიძულებდნენ.

ამ ბავშვებს თავის ბიოლოგიური სქესის დაბრუნების გზა სამუდამოდ მოჭრილი ჰქონდათ, მთელი ცხოვრება საპირისპირო სქესის მსგავსად უნდა გატარებინათ: ბიჭად აღზრდილი გოგონა ოჯახს ვერ შექმნიდა და შვილებს ვერ იყოლიებდა, ქალად „გამოყვანილი“ ბიჭუნა კი სიცოცხლის ბოლომდე საოჯახო საქმეებით უნდა ყოფილიყო დაკავებული.

ესპანელმა კონკისტადორებმა, რომლებმაც ომი გამოუცხადეს ინდიელთა მრავალ „წმინდა ტრადიციას“, მათ შორის ადამიანთა მსხვერპლშეწირვებსა და გარდაცვლილ ბელადთან ცოცხალი ცოლის ჩაყოლებას, ამ პრაქტიკას ბოლო მოუღეს, მაგრამ 500 წლის შემდეგ ბავშვებისთვის სქესის შეცვლის წესი კვლავ აღდგა, ოღონდ ამ ჯერზე არა ველურ ინდიელებში, არამედ „ცივილიზებულ“ თეთრკანიანებში. არადა, ამის მიზეზი თანამედროვე ადამიანებს ზუსტად ისეთივე აქვთ, როგორც ტაინოს ტომის ინდიელებს. ქალად გადაქცეული მამაკაცები გაიძახიან, რომ ბიჭებთან ჩხუბს ბავშვობიდანვე ერიდებოდნენ, სქესის შეცვლის მსურველი ქალები კი ამბობენ, რომ მათ არასდროს მოსწონდათ გოგონებს ბიჭურად მოქცევა რომ არ შეეძლოთ. ბოლო ხანებში კი ამერიკაში ბავშვებისთვის სქესის შეცვლის პრაქტიკას მიჰყვეს ხელი, მათ საპირისპირო სქესის ჰორმონებით ჭყიპავენ და საიმისოდ ამზადებენ, რომ მოწიფულ ასაკში სქესის სწორად არჩევა შეძლონ.

დალი ხუნდაძე

აშშ-ში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ახალი კამპანია დაიწყო

ამერიკის შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმა ახალი მოძრაობა ჩამოაყალიბეს, სახელწოდებით „ტაიმს აპ“, რომელიც ქალებს სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან დაიცავს. ახალ მოძრაობას 300-მა ცნობილმა სახემ დაუჭირა მხარი. მათ შორის არიან მსახიობები: ნატალი პორტმანი, ემა სტოუნი და კეიტ ბლანშეტი. დაზარალებულთა დასახმარებლად სოციალური ფონდიც შეიქმნება.

მადრიდმა კატალონიის გამო მილიარდით იზარალა

ესპანეთის ეკონომიკამ კატალონიის კრიზისის გამო 1 მილიარდ ევრომდე იზარალა. ამის შესახებ ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა ლუის დე გინდოსმა განაცხადა. მისი თქმით, ეკონომიკური დანაკარგები კატალონიის ეკონომიკის შენელებით არის გამოწვეული, რაც დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებამ და პლებისციტის თანმდევმა მოვლენებმა განაპირობა.

კალიფორნიაში მარიხუანის ლეგალიზების შესახებ კანონი ძალაში შევიდა

კალიფორნიაში მარიხუანა ლეგალიზებულია. ახალი რეგულაცია შტატში უკვე ამოქმედდა. 28 გრამი მარიხუანის შეძენა დღეიდან 21 წელს ზემოთ მოქალაქეებს მიეცემათ. ამავე რეგულაციით, სახლში კანაფის 6 მცენარის გაზრდაა ნებადართული.

ტრამპი კიმ ჩენ ინის მუქარას უპასუხებს

დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინს მუქარას მუქარითვე პასუხობს. მორიგი პოსტი მან ტვიტერის გვერდზე გამოაქვეყნა.

„კიმ ჩენ ინმა ახლახან განაცხადა, რომ „ბირთვული ღილაკი მუდმივად მის მაგიდაზეა. გააგებინეთ ვინმემ მისი მოშიმშილე რეჟიმიდან, რომ მეც მაქვს ბირთვული ღილაკი და ის უფრო დიდი და მძლავრია, თანაც მუშა მდგომარეობაში“, — წერს ტრამპი.

ირანში მსხვერპლი გაიზარდა

ბოლო მონაცემებით, ექვსდღიან არეულობას თეირანსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში 22 ადამიანი ემსხვერპლა. მასშტაბური ანტისამთავრობო აქციები ქვეყანაში 28 დეკემბერს დაიწყო. ხელისუფლება ქვეყანაში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს აღიარებს, თუმცა აცხადებს, რომ საპროტექტო ტალღა ირანში გარე ძალების მიერაა პროვოცირებული.

საფრანგეთს ძლიერი ქარიშხალი დაატყდა...

სტიქიამ 200 000-მდე სახლი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. მწყობრიდან გამოსული ენერგოგადამცემი სისტემის აღდგენას, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე დასჭირდება. ქარიშხალ „ელეონორას“ გამო სტიქიური საფრთხის ნარინჯისფერი დონე ქვეყნის 51 დეპარტამენტშია გამოცხადებული. ქარბუქის გამო შეფერხებულია სარკინიგზო მოძრაობაც.

პერუში ავტოსაგზაო შემთხვევას 48 ადამიანი ემსხვერპლა

მასშტაბური ავტოკატასტროფა პერუში. პასამაიოს რაიონში ავტობუსი უფსკრულში გადავარდა, რის შედეგადაც 48 ადამიანი დაიღუპა. რა გახდა ტრაგედიის მიზეზი, ამ დრომდე უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, ავტობუსი მანქანას შეეჯახა. სამაშველო სამუშაოები კატასტროფის ადგილას ამ წუთებშიც გრძელდება.

კალიფორნიაში ტყუპები სხვადასხვა წელს დაიბადნენ

კალიფორნიაში ტყუპები 20 წუთის სხვაობით, სხვადასხვა თვესა და წელს დაიბადნენ. ამის შესახებ გამოცემა „დეილი მეილი“ წერს. და-ძმა ხოაკინი და აიტანა 2018 წლის იანვრის ბოლოს უნდა გაჩენილიყვნენ, თუმცა ისინი სამყაროს ცოტა ხნით ადრე, ახალი წლის ღამეს მოევლინენ. ბიჭი შუაღამემდე, 2017 წლის 31 დეკემბერს გაჩნდა, მისი ტყუპისცალი და კი 20 წუთის შემდეგ, უკვე 2018 წელს დაიბადა.

◎ წინ, საქართველოვ!

მსოფლიო ისევ ჩვენია!

ელვისებურ ჭადრაკში ნანა ძაგნიძე საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ქართველმა 21 შეხვედრის შემდეგ 16.5 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასული რუსი ვალენტინა გუნინა 0.5 ქულით ჩამოიტოვა. აღნიშნული ტიტულის გარდა, შარშან ნანა ევროპის ჩემპიონი გახდა, ასევე, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ევროპის გუნდურ პირველობაზე — „ვერცხლი“, საკლუბო დონეზე კი ძაგნიძე ევროპის ჩემპიონი გახდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ნანას გარდა ლელა ჯავახიშვილი (მე-15 ადგილი), ბელა ხოტენაშვილი (18), ნინო ბაციაშვილი (23), ინგა ჭარხალაშვილი (50), სოფიკო ხუხაშვილი (63), სოფიო გვეტაძე (77) და სალომე მელია (89) მონაწილეობდნენ. დავძენთ, რომ ტურნირის დაწყების წინ ძაგნიძე რეიტინგში მე-12 იყო.

კაცთა შორის გამარჯვებული მაგნუს კარლსენი გახდა 16 ქულით. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ლევან ფანცულაიამ, რომელიც 12.5 ქულით 29-ე ადგილზე გავიდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ბაადურ ჯობავა (12ქ), 37-ე პოზიციაზე გავიდა გიგა ყუფარაძე, ხოლო 71-ზე — მიხეილ მჭედლიშვილი.

ბეჟან დოლიძე

◎ ხელგურთი

ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს

საქართველოს ვაჟთა ნაკრების მწვრთნელად 43 წლის მაკედონიელი დონე ბოშკოვსკი დაინიშნა, რომელიც გუნდს უკვე ამზადებს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის. შეჯიბრება 12-14 იანვარს გაიმართება კლაიპედაში (ლიტვა) და მასში მონაწილეობას ლიტვა, ლატვია, ისრაელი და საქართველო მიიღებენ. ბოშკოვსკის თანაშემწედ ეროვნულ ნაკრებში ტიტე კალანდაძე იმუშავებს.

დონე ბოშკოვსკი 1974 წელს დაიბადა სკოპიეში. გამოდიოდა „რაბოტნიჩკიში“ და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ ხელის ტრავმის გამო თამაშს ადრე დაანება თავი. 1998-2004 წლებში თავისი კლუბის, „რაბოტნიჩკის“ მთავარი მწვრთნელი იყო; 2004-06 წლებში მუშაობდა სკოპიეს „მეტალურგში“ ჯერ იოვიცა ცვეტკოვიჩის ასისტენტად, 2006 წელს — მთავარ მწვრთნელად; 2006-07 წლებში ბოგდანცის „მლადოსტის“ მთავარი მწვრთნელია; 2007-11 წლებში ბრუნდება „მეტალურგში“, სადაც არის ზვონკო შუნდოვსკისა და ლინო ჩერვარის თანაშემწე: 2011-14 წლებში მუშაობდა ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონის სკოპიეს „ვარდარის“ გუნდში ვესელინ ვუიოვიჩთან და ზორან კასტრატოვიჩთან; 2015-16 სეზონში დაბრუნდა „რაბოტნიჩკიში“ და მესამე ადგილი მოიპოვა მაკედონიის ჩემპიონატში; 2016 წელს წვრთნიდა რუმინეთის ქალთა გუნდს „CSM რომანს“; 2016-17 სეზონში მუშაობდა მაკედონიის „ეუროფარმ რაბოტნიკში“. **სანაკრებო დონეზე:** მაკედონიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო 2009 და 2013 წლების მსოფლიო და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო 2012 წლის ხმელთაშუაზღვისპირა თამაშებზე მთავარი მწვრთნელი იყო.

ევროპის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან პლეი-ოფში 6 შესარჩევი ჯგუფის თითო გამარჯვებული გადის 3 ჯგუფში თამაშები ორ წრედ, მიმოსვლით მომდინარეობს და ეს ტურნირები ოქტომბერში დაიწყო. დანარჩენი 3 ჯგუფის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ერთ წრედ ითამაშონ. მასპინძელი წილისყრამ დაადგინა და ჩვენს ჯგუფში ეს უფლება ლიტვის ფედერაციას ერგო.

მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპას 14 ადგილი აქვს. ტურნირის მასპინძლებს, დანიასა და გერმანიას, მსოფლიო ჩემპიონ საფრანგეთსა და ევრო 2018-ის 3 საუკეთესო გუნდს პლეი-ოფის გამარჯვებული 8 ნაკრები დაემატება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ლუანი - ნომერ პირველი...

სამხრეთ ამერიკაში მოთამაშე ფეხბურთელთაგან შარშან საუკეთესო ბრაზილიელი ლუანი გახდა. გამოკითხვას ურუგვაული „ელ პაისი“ ატარებს და ტიტული იგივე რანგისაა, როგორც ევროპაში „ოქროს ბურთი“.

„გრემიოს“ 24 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ხმების რაოდენობით გაუსწრო პერუელ ხოსე პაულო გერეროსა („ფლამენგო“) და თანაკლუბელ არტურს.

რით დაიმსახურა აღიარება ლუანმა? ის ლიდერია, იმ „გრემიოსი“, რომელმაც შარშან ლიბერტადორესის თასი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ მანვე 2016-ში ოლიმპიადაც მოიგო ბრაზილიის ნაკრებში.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ერთეულებშიც, წყვილებშიც

ნიკოლოზ ბასილაშვილმა დოჰას ტურნირზე წყვილთა თანრიგშიც მოახერხა გამარჯვების მოპოვება. ბასილაშვილი-ანდრეას ჰაიდერ-მაურერის დუეტმა მეკტიჩი-პეიას ტანდები 6:1, 6:7(8:10), 10:8 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ერთეულთა თანრიგში ჩვენებურმა პირველ წრეში იტალიელი ტომაზო ფაბიანო ორ სეტში ანგარიშით 6:4 6:3 დაამარცხა და მისი შემდეგი მეტოქე ხორვატი ბორნა ჩორიჩი იქნება, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 48-ე ადგილზეა.

გასულ სეზონში ისინი ერთმანეთს ორჯერ დაუპირისპირდნენ და ორივეჯერ გამარჯვება ნიკოლოზ ბასილაშვილმა მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ დაბრუნება

სებასტიან ლოები რალის ერთგულია

რალის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მრბოლი, ფრანგი სებასტიან ლოები ბრუნდება, ოღონდ, როგორც „სიტროენი“ აცხადებს, ის მხოლოდ სამ რბოლაში იასპარეზებს. რალის ლეგენდამ კორსიკის, მექსიკისა და ესპანეთის რალიში მონაწილეობა გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, იგი რბოლებში მონაწილეობას ფრანგული კომპანიის საქარხნო გუნდის მანქანით მიიღებს.

43 წლის ლოებს ამ რბოლებში თანაგუნდელობას ბრიტანელი კრის მიკი გაუწევს, რომელიც „სიტროენის“ ლიდერია და ჩემპიონატის 13-ვე რბოლაში გამოვა. დასახელებულ სამ რბოლაში ლოები ირლანდიელ კრეიგ ბრინს შეცვლის, რომელიც დანარჩენ 10 რბოლაში მოსინჯავს ძალებს.

ლოებმა რალის მსოფლიო ჩემპიონატის რბოლაში ბოლოს 2015 წელს იასპარეზა. ეს იყო სეზონის პირველი რბოლა — მონტე კარლოს რალი, რომელსაც ლიდერობდა, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო ჩამორჩა. WRC-ში საკუთარი კარიერა მან 2012 წელს დასრულა, თუმცა, ამის მიუხედავად, 2013 წლის სეზონში ოთხ რბოლაში მაინც მიიღო მონაწილეობა.

„წელს გამართული ტესტების შემდეგ ყველა, მათ შორის მეც კმაყოფილნი დავრჩით. სწორედ ამის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ სამ რბოლაში მიმეღო მონაწილეობა. დიდი მოლოდინი არ მაქვს, უბრალოდ, სიამოვნების მიღებას ვაპირებ. საფრანგეთში გამოსვლაც მსურდა, მაგრამ მარშრუტი ახალია და მას არ ვიცნობ, ამიტომ თავი შევიკავე. ძალიან მინდოდა, ერთი გრუნტის რბოლა ყოფილიყო და მექსიკა ავირჩიე“, — ამბობს მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი, ვისაც 2013 წელს ამერიკული პაიკს პიკის აღმართის რბოლა რეკორდული დროით „პეჟო 208 Ə16-ით“ აქვს მოგებული. მანვე ტურინგის კლასის მსოფლიო ჩემპიონატზე (WTCC) ექვსი რბოლა მოიგო. გარდა ამისა, რალიქროსის მსოფლიო ჩემპიონატზე, „პორშეს“ სუპერკაპსა და FIA-ს GT სერიაშიც ასპარეზობდა.

კობა კობახიძე



◎ ინტერნეტიდან

თუკი ბელარუსთა ქვეყანაში ვინმეს გემოვნება აქვს და იქაური ჟურნალები ერთხელ მაინც გადაუფურცლავს, ყველამ იცის, ვინ არის და რაოდენ თვალსაჩინო ვინმეა ყოფილი „მის ბელარუსი“, ახლა კი უკვე ევროპაში სახელგავარდნილი მოდელი იულია სკალკოვიჩი, რომელსაც მოფერებით „იუსკას“ ეძახიან.

მშვენიერი იულია სკალკოვიჩი ბელარუსიდან

„იუსკა“ ჩოგბურთით სერიოზულადაა გატაცებული და, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ამ სახეობაში პროფესიონალურად არასოდეს უასპარეზია, როდესაც თავისუფალი დრო აქვს, სიამოვნებით და, რაც მთავარია, მარჯვედ სცემს ჩოგანს, რაც მისი ხელობის ასულთათვის ფიზიკურად ადვილი შესაძლებელი ნამდვილად არაა.

მაშინ, როდესაც ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს, იგივე „ბატკას“, თვალი კოლმეურნეობებისა და ძველი საბჭოთა მეურნეობების აღდგენაზე უჭირავს, მშვენიერ იულიას ბელარუს ასულთა სილამაზის სახელი შორს გააქვს და საკითხავია, ვინ უფრო მეტად ეხმარება თავის ქვეყანას...

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

დავით კვაჭაძე

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის კონსტრუქციების დეპარტამენტის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით კვაჭაძე.**

დავით კვაჭაძე დაიბადა 1925 წლის 9 აპრილს ქალაქ მახარაძეში (ამჟამინდელ ოზურგეთში) მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. იგი იბრძოდა პოლონეთში, გერმანიაში. ომის დამთავრებამ ჩეხოსლოვაკიაში მოუსწრო. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1948 წელს ჩააბარა და 1954 წელს დაასრულა მ. კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სრული კურსი. 1959 წელს დაიცვა დისერტაცია, 1964 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1993 წელს — პროფესორის წოდება. 1989 წელს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ბატონი დავითი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნაყოფიერ სამეცნიერო და აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა. 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებას ჯერ დეკანის მოადგილედ, შემდგომ დეკანად. დაჯილდოებული გახლდათ სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით, სამამულო ომისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მრავალი მედლითა და სახელმწიფო ჯილდოებით, გახლავთ ღირსების ორდენოსანი, ავტორია ათზე მეტი დამხმარე სახელმძღვანელოსი და სამოცზე მეტი სამეცნიერო სტატიისა.

უშესანიშნავესი პიროვნების, ჭეშმარიტი ინტელიგენტის, თავისი საქმის უბადლო პროფესიონალის, სამშობლოსა და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნების დავით კვაჭაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და მის მიერ აღზრდილი სპეციალისტების გულში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მიმართულების ღვაწლმოსილი სპეციალისტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით კვაჭაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.
პანაშვიდი 3 I, დაკრძალვა 4 I, 15 სთ. მისამართი: ფანასკერტელის ქ. №15ა, IV სადარბაზო.

სანთელი

მეუღლე გალაქტიონ ღლონტი, შვილი მერაბ ღლონტი, რძალი დოდო შენგელია, შვილიშვილები ანა, გვანცა ღლონტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგელა ლორთქიფანიძე

პანაშვიდი: 4, 5 I, 17 სთ. დაკრძალვა: 6 I, 14 სთ.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვ., 23-ე კორპ., ბ. 18 (იგივე ქავთარაძის ქ. 53).

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი

ჯულიეტა გონაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახის წევრებთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდებული პიროვნების

ხათო მიქელაძის

გარდაცვალების გამო, სამძიმარს უცხადებენ მის უსათნოეს დედიკოს, მეუღლეს და დაიკოს, შვილებს, შვილიშვილებსა და ოჯახის წევრებს.

მანანა, დემურ მიქაძეები ოჯახის წევრებთან ერთად დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ოჯახის წარმომადგენელი, შესანიშნავი პიროვნება, ბატონი

ფრიდონ (ხათო) მიქელაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ ჯანმრთელობა

სულს კი სიმშვიდე სწადია!

„ნერვებია ყველა ავადმყოფობის სათავე“, — ეს ფრაზა თითოეულ ჩვენგანს არაერთგზის გვსმენია, მაგრამ იმის გასაგებად, თუ რა იმალება მის მიღმა, საამისოდ ფსიქოსომატურ სნეულებათა შესახებ წარმოდგენის ქონაა საჭირო.

ესენი ის დაავადებებია, რომლებიც არა მარტო ფიზიოლოგიური მიზეზებით, არამედ ფსიქოლოგიური აშლილობის შედეგად წარმოიშვება.

ფსიქომატიკა მრავალ დაავადებას აერთიანებს, რომელთა დაყოფა პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება. პირველია მძიმე ფსიქიკური ავადმყოფობები, რომლებიც სხეულის გარკვეულ სნეულებით ინიღბება. ამის მკაფიო მაგალითია **პათომიმია,** როცა პაციენტი განგებ იზიანებს კანს, მერე კი დახმარებისთვის დერმატოლოგს მიმართავს. მეორე მაგალითია **მიუნჰაუზენის სინდრომი,** რა დროსაც პაციენტი თავს განგებ ისახიჩრებს, ანდა მისთვის ქირურგიული ოპერაციის გაკეთებას დაჟინებით მოითხოვს.



ფსიქომატურ დაავადებათა მეორე ჯგუფს ის მდგომარეობები მიეკუთვნება, რომლებიც შინაგან ორგანოთა ფიზიოლოგიური მუშაობის დარღვევებს ემატება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია **ორგანული ნევროზები** (ვთქვათ, გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის ან საშარდე ბუშტის სინდრომები, კარდიონევროზები და სხვ.). ამ შემთხვევაში გარკვეული ორგანოს დაავადებას ნევროზი ემატება. ამ დროს პაციენტი ერთგვარად მონუსხულ წრეში ხვდება: განგაშის გრძნობა ძირითადი სნეულების მიმდინარეობას ამწვავებს, ეს კი, თავის მხრივ ავადმყოფს სტრესს უმძაფრებს. ამიტომ ასეთმა ავადმყოფებმა მკურნალობა არა მარტო თერაპევტთან, არამედ ფსიქოთერაპევტთან ან ფსიქიატრთან უნდა გაიარონ, რადგან სტრესი უარყოფითად აისახება იმუნური სისტემის მუშაობაზე, რასაც სხვა დაავადებათა მთელი თაიგულის გამოწვევა შეუძლია.

ფსიქოსომატურ დაავადებათა მესამე ჯგუფში **რეალური სნეულებებია** მოქცეული, რომლებიც თავს იჩენენ ან მძაფრდებიან ემოციური აშლილობის ფონზე. მათ რიცხვს მიეკუთვნება ინფარქტები, ჰიპერტონია, ზოგიერთი დერმატოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და პულმონოლოგიური დაავადებები.

თავის მხრივ, ზოგიერთი მძიმე დაავადება დეპრესიებსა და სხვა ემოციურ აშლილობებს იწვევს, ამიტომ ასეთ ავადმყოფებს ასევე ფსიქიატრის კონსულტაცია სჭირდება.

მოაზადა
ნინო ალექსანდრიამ

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ბათუმში მამაკაცი მე-9 სართულიდან გადმოვარდა

ბათუმში, ლერმონტოვის 103 ნომერში, საცხოვრებელი კორპუსის მეცხრე სართულიდან მამაკაცი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცი, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.საქმე სს კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

აჭარაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული ზ.ს. ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „აკს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 150 ვაზნა ამოიღეს, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნით, ცეცხლსასროლ იარაღთა და საბრძოლო მასალათა კატეგორიას მიეკუთვნება.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

განცხადება

2017 წლის 28 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შესახებ:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №1) მდინარე ბჟუჟაზე „ბჟუჟა 2“ ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, ნაცვლად წინა განცხადებაში აღნიშნული 2018 წლის 13 თებერვლის ნაცვლად გაიმართება 2018 წლის 20 თებერვალს იმავე დროს.

წინა განცხადებაში აღნიშნული ყველა სხვა დეტალი რჩება უცვლელი.

შპს „GIEC“-ის ადმინისტრაცია

* * *

„იმედის“ კიდევ ერთმა პოპულარულმა მუსიკალურმა შოუმ **„ჩვენ ვარსკვლავები ვართ“** დაასახელა თავისი გამარჯვებული. ფინალში ერთმანეთს **გიგი ცირამუა** და **მანანიკო ცენტერაძე** დაუპირისპირდნენ, რომლებმაც მსოფლიოში ცნობილი სიმღერები შეასრულეს. ხმების (160.680 – ესეც, რეკორდული მაჩვენებელი!) 54,5 პროცენტით გამარჯვება **მანანიკო ცენტერაძეს** ხვდა წილად. ამავე შოუს ფინალისტს კი პროექტის სპონსორებისაგან დაწესებული პრიზები გადაეცა.

ახალ წელს გილოცავთ, გამარჯვებულნო!

ავთანდილ ბექაური

ნიჭიერები და ვარსკვლავები

ტელეკომპანია „იმედის“ მეგაშოუ „ნიჭიერებს“, რომელსაც მილიონობით თაყვანისმცემელი ადევნებდა თვალს როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში, რიგით მერვე გამარჯვებული ჰყავს. 2017 წლის სეზონის გამარჯვებულად თერთმეტ ფინალისტს შორის მაყურებელმა პირველობა 80 უნიჭიერესი ბავშვისგან შემდგარ კაპელას მიანიჭა, რომელსაც **გელა ფარჩუკიძე** ხელმძღვანელობს. შემოსული უპრეცედენტო ხმათა (166.420) რაოდენობის 49.33 პროცენტი სწორედ კაპელის წევრებმა მიიღეს. 31 დეკემბერს, თერთმეტივე ფინალისტის წარდგენის შემდეგ, სანამ მერვე სეზონის გამარჯვებული დასახელდებოდა, „ნიჭიერის“ სპონსორებმა და მხარდამჭერებმა თავიანთ ფავორიტებს სპეციალური პრიზები გადასცეს.

დედა ენის ბაღის ზღაპრული დღეები

საახალწლო განწყობაა დედაქალაქში. თბილისელებსა და თბილისის სტუმრებს ათასგვარი გართობის შესაძლებლობა აქვთ არა მარტო თბილისის ცენტრალურ ნაწილში, არამედ გარეუბნების სკვერებსა და პარკებში. ჩვენი ფოტოკორესპონდენტი „დედაენის“ ბაღს ესტუმრა. „ბასტი-ბუბუს“ კონცერტი, შესანიშნავი მოედანი ყინულზე სრიალის მოყვარულთათვის. ტირი, საბავშვო ატრაქციონები მართლაც ზღაპრულ გარემოს ქმნის.

მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულის ახალი წელი გეზეიმოთ თანამოქალაქენო!

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5922; ევრო - 3.1044;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5005;
100 რუბლი - 4.4935; თურქული ლირა - 0.6874;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5249;
1000 სომხური დრამი - 5.3591.

ამინდი 4 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge